# საჩემპიონო

სპორტული გაზეთი პარასკევი 23 იანვარი 2004 №13 (2032) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა




## დღეს შერიფი დინამო

– ჩვენს მწვრთნელს თბილისის „დინამო" კიევის მეორე შემადგენლობა ხომ არ ჰგონია... გაოცებული ვარ თბილისელების ფეხბურთით, რუსები ხომ სულ გაგიჟებულები არიან „დინამოზე", თავიანთ ცეესკასთვის არ უქომაგიათ ასე.

ინტერვიუ „შერიფის" კაპიტან ვაჟა თარხნიშვილთან იხილეთ მეოთხე გვერდზე

–არანაირი დამატებითი მოტივაცია არ გვჭირდება, ისეთივე შემართებით გავალთ, როგორც სხვა მეტოქეებთან. ჩვენ ისე გვაქვს აკრეფილი, რომ მკვეხარები ვერ შეგვაჩერებენ.

ინტერვიუ რატი ალექსიძესთან იხილეთ მესამე გვერდზე




## დაიბრუნეთ ფეხბურთი, დაგვიბრუნეთ სილამაზე!



ინტერვიუ მიხეილ მელნიკოვთან იხილეთ მესამე გვერდზე

## რუსი ტელეჟურნალისტის აზრით, დედამიწა სწორად ბრუნავს, როცა ქართველები ქართულად თამაშობენ

*ვიქტორ მუნიოსი რამდენიმე დღის წინ დანიშნეს პრიმერადივიზიონის მაჩანჩალა „სარაგოსას" მწვრთნელად და პირველივე მატჩში იმ სტადიონზე მოუნია ახალი გუნდის გაძლოლამ, სადაც მთელი ათი წლის მანძილზე იქაურთა გულის გასახარად აგორებდა ბურთს. მუნიოსის „სარაგოსა" გუშინ სამეფო თასის მეოთხედფინალში „კამპ ნოუზე" „ბარსელონას" ებრძოდა და დაამარცხა კიდეც. ძველმა ბარსელონელმა მართლაც შესაშური დებიუტი მოიწყო, საშინაო 0:1 კი ისედაც არეულ-დარეული კატალონიური კლუბის საქმეებს უფრო აწეწავს და ვინძლო ხუან ლაპორტას მოთმინების ფიალა ისე აივსოს, რისხვა ფრანკ რაიკარდს თავს ზათქად დაატყდეს.*

*თავის ყოფილ გუნდს ებრძოდა ფაბიო კაპელოც, მაგრამ იტალიის თასის მეოთხედფინალის პირველი და სასერიო მატჩების დარად, „მილანს" „რომამ" ვერაფერი დააკლო და „სტადიო ოლიმპიკოზე" 1:2 წააგო. კარლო ანჩელოტის გუნდს სანახევარფინალოდ ისევ მოუწევს რომში სტუმრობა, რამეთუ თასის ამ ეტაპამდე „ლაციომ" უწია, მეორე ნახევარფინალურ წყვილში კი „ინტერ" — იუვენტუსის" ჯახი ელით ფეხბურთის გურმანთ.*

## მელოდა მუნიოსისგან ნაცემი ბარსა

### მილანმა რომა მესამედ...



REUTERS ბარსელონიდან

ბარსელონა — სარაგოსა 0:1. ხავიერ სავიოლა „კამპ ნოუს" სტუმრებმა ლამის მოახრჩვეს

# ამერი — დილა 0:0

## პირველლიგელმა უმაღლესლიგელთან თავი შეამოწმა



ამერელი გიორგი დავითნიძე ჰაერში თავს მყარად გრძნობს

გუშინ „ამერის“ საფეხბურთო სკოლაში ამერელებმა გორის „დილას“ უმასპინძლეს და უგოლოდ გაეყარნენ.

გორელები თბილისში საბრძოლო შემადგენლობით ჩამოვიდნენ. მატჩი ძირითადი შემადგენლობის რვა ფეხბურთელით დაიწყეს, 43-ე წუთიდან კი მწვრთნელმა ზურაბ ხორგუაშვილმა 11 ფეხბურთელი შეცვალა, ანუ „დილამ“ მის განკარგულებაში მყოფი ოცდაორივე ფეხბურთელი ათამაშა.

„ამერს“ მცირე ტრავმების გამო კაპიტანი გიორგი ჩიხრაძე და 17-წლამდელთა ნაკრების წევრი გიორგი განუგრავა აკლდნენ. სასტარტო შემადგენლობაში კი ორმა ახალწვეულმა, გელა ხუბუამ და ილია შონიამ ითამაშეს.

აქვე ისიც ვთქვათ, რომ „დილამ“ ზამთრის შეკრება „ამერზე“ გვიან დაიწყო.

თამაშის დაწყებიდან ათ წუთში ამერელი ბექა გოცირიძე დაშავდა და თამაზ კოსტავას პირველი იძულებითი შეცვლის გაკეთება მოუხდა.

მიუხედავად ამისა, პირველი ტაიმი მასპინძელთა კარნახით წარიმართა, მაგრამ პირველლიგელებს იერიშების ზუსტი დარტყმით დასრულება უჭირდათ.

მეორე ტაიმშიც კარგა ხანს „ამერი“ მეტს უტევდა, თუმცა სახიფათო მომენტების შექმნა ისევ უჭირდა. თამაშის დასრულებამდე თხუთმეტიოდე წუთით ადრე კი ინიციატივა გორელთა მხარეს გადავიდა, რაკი ამერელებს დაღლა დაეტყოთ, მაშინ როცა „დილა“ ახალ სისხლს ისხამდა.

78-ე წუთზე კი „ამერი“ უმცირესობაში დარჩა. თბილისელთა მეკარე დავით ასლანაძემ მეტოქის ფორვარდი უკანასკნელი იმედის ჯარიმით წააქცია და ალექსანდრე მეშკოვისგან წითელი ბარათი დაიმსახურა. საჯარიმო დარტყმით კი, რომელიც ასლანაძის გაძევებას მოჰყვა, გორელებმა ბურთი ხარიხას გაარტყეს. ამის მერე „დილას“ ერთი კარგი მომენტიც ჰქონდა, მაგრამ ასლანაძის ნაცვლად კარში ჩამდგარმა ლადო ნადირაშვილმა პირისპირ შეყრილ მოწინააღმდეგეს ბურთი აართვა.

მომდევნო ამხანაგურ მატჩს „ამერი“ 30 იანვარს, თავის საფეხბურთო სკოლაში „მცხეთასთან“ გამართავს.

გუშინ კი გუნდებმა ასეთი შემადგენლობებით ითამაშეს:

*ამერი:* ასლანაძე, კედელაშვილი, დავითნიძე, ელბაქიძე, მჭედლიშვილი, ხუბუა, გარუჩავა, ვერემჩუკი (ბერიანიძე 65), შონია (კუსრაშვილი 46), გოცირიძე (წინამძღვრიშვილი 11, ჩიმაკაძე 76, ნადირაშვილი 78), რუსია

*დილა:* სოლოლაშვილი, ბალაშვილი, ხაჭაპურიძე, გოჩაშვილი, რაზმაძე, სულთანიშვილი, საყვარელიძე, კ. ხანიშვილი, ბ. ჩიტაია, ლაბაძე, მიქაძე

შეცვლაზე შევიდნენ: ლომიძე, მარლიშვილი, ბურნაძე, ქარქუზაშვილი, ჯობაძე, ჭალიძე, გ. კაიდარაშვილი, დ. ხანიშვილი, აკოფიანი, ილურიძე, განიძე

**ძოტე ძეძელია**

# გორი იმტის გორაზეა

## დილამ ხალხი და ამბიცია შეიმატა

*მე-15 ეროვნული ჩემპიონატის ზეექვსეულში დამკვიდრებული გორის „დილა“ საგაზაფხულო ეტაპისთვის მზადების განამაშიაშია. გორელები კბილებს ილესავენ და ერთ-ერთი ევროსაგზურის ხელში ჩაგდებას ლამობენ. საამისოდ ზურაბ ხორგუაშვილს ჯერაც ვერშემდგარი ბრაზილიური ლეგიონის იმედიც აქვს, თუმც მანამდე ქართულ სატრანსფერო ბაზარზეც დატრიალდა*



„ამერი“ — „დილას“ გუშინდელი მატჩი გორელებისთვის მოსამზადებელი ეტაპის პირველი საკონტროლო შეხვედრა იყო და მათი ახალწვეულების შეთვალიერება თბილისშივე მოგვიხერხდა. ლოკომოტიველი მურთაზ ბურნაძე, სომხური „პიუნიკიდან“ აბარგებული ვახტანგ აკოფიანი და ბელარუსიდან ჩამოსული ქრისტეფორე შატაკიშვილი აწი ალბათ თავიანთ მშობლიურ „დილაში“ ითამაშებენ. ყოველ შემთხვევაში, მათი საქმეში ნახვა ხორგუაშვილმა უკვე შეძლო. „ამერი“ — „დილას“ მატჩს ქუთაისის „ტორპედოდან“ წამოსული ზურაბ მუშკუდიანი და ალექსანდრე კაიდარაშვილიც დაესწრნენ. დანარჩენ ახალწვეულებზე კი ზურაბ ხორგუაშვილთან ინტერვიუდან შეიტყობთ:

**— შატიკიშვილი, მუშკუდიანი, ბურნაძე, აკოფიანი... კიდევ ვის დამატებას აპირებთ?**

— „ბათუმიდან“ ალბათ ნიკა თუთარაშვილს და ნუკრი მანჩხავას წამოვიყვანთ. თბილისის „დინამოდან“ კი მეკარე ზურაბ მამალაძე შემოგვიერთდება.

**— ორიოდ დღის წინ „ბათუმის“ პრეზიდენტმა თემურ ბეჟანიძემ გვითხრა, რომ მანჩხავას არსად უშვებს...**

— გასაგებია, მაგრამ როგორც ვიცი, „ბათუმიდან“ წასვლა თავად ფეხბურთელსაც სურს და თან ის „დინამოს“ საკუთრებაა. ვნახოთ, რა გამოგვივა, ყველაფერს მოლაპარაკება გაარკვევს.

**— კაიდარაშვილს შეელიეთ?**

ალეკო „ლოკომოტივიდან“ გვყავდა იჯარით წამოყვანილი, მაგრამ, მგონი, შეთანხმებას გავაგრძელებთ. კაიდარაშვილი ისევ „დილაში“ ითამაშებს.

**— ჩემპიონობას ხომ არ აპირებთ?**

— რატომაც არა?! ვფიქრობ, ურიგო შემადგენლობა არ გვეყოლება.

**— დღეს ზაზა ლაცაბიძე გაკლდათ. გუნდიდან წავიდა თუ...**

— არა, ტრავმირებულია და ამის გამო არ უთამაშია.

**— ესე იგი, მერაბ ძოძუაშვილის გარდა არავინ გაგიშვიათ...**

— ძოძუაშვილის საკითხიც არაა ბოლომდე გარკვეული. შესაძლოა, ისევ დაგვიბრუნდეს.

**— და მივადექით ბრაზილიელებს...**

— მუშაობა არ შეგვიწყვეტია. როგორც კი ბრაზილიურ მხარესთან შეთანხმებას მივაღწევთ, ყველაფერს გაიგებთ.

აქვე გეტყვით, რომ გორის „დილა“ 25 იანვრიდან ათდღიან შეკრებაზე გადავა. ზურაბ ხორგუაშვილის თქმით, გუნდი გორშივე მოემზადება და სწორედ ამ შეკრების შემდეგ გაირკვევა, ვის დაიტოვებენ და ვის გაუშვებენ.

**ბახა შალამბერიძე**

*საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია ისევ ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოშია და გათავისუფლებისთვის გენერალური პროკურატურის დადგენილებას ელის. პროკურატურამ გადაწყვეტილება დღეს-ხვალ, შინაგან საქმეთა სამინისტროს შუამდგომლობის საფუძველზე უნდა მიიღოს.*

*ფედერაციის პრეზიდენტმა მასთან სადავო 741 984 ლარი ერთი კვირის წინ სახელმწიფო ბიუჯეტში გადაიხადა, რის საფუძველზეც შსს-მ მერაბ ჟორდანიაზე სისხლის სამართლის დევნა შეწყვიტა და პატიმრის გათავისუფლების შუამდგომლობით პროკურატურას მიმართა. პროკურატურა ჯერჯერობით დუმს*

# შავგულიძეს გული კარგს უგრძნობს

## თუ არა და, სტრასბური

ამასობაში კი ხმები დაირხა, პროკურატურა ჟორდანიასთვის ახალი ბრალდების წაყენებას აპირებს და ამიტომაც არ ჩქარობს მის გაშვებასო. თუმც მერაბ ჟორდანიას ადვოკატი შალვა შავგულიძე, რომელიც ზურაბ როსტიაშვილის ნაცვლად პრეზიდენტმა უკვე პატიმრობაში ყოფნისას აიყვანა, ახალი ბრალდებისთვის საფუძველს ვერ ხედავს.



— პროკურატურა თუ ჟორდანიასთვის ახალი ბრალდების წაყენებას აპირებდა, ამას აქამდეც გააკეთებდა, ჩაგვაბარებდა ერთგვერდიან ბრალდებას და საქმეს მოამთავრებდა. რაკი ეს აქამდე არ გააკეთეს, ესე იგი, საამისო საფუძველი არ აქვთ. იმ მოტივით, ჟორდანიას ხვალზეგ, ან ორი თუ ხუთი თვის შემდეგ, შესაძლოა, ახალი ბრალი წავუყენოთ და ბარემ იჯდესო, მისი პატიმრობაში დატოვება, დამეთანხმებით, ლოგიკური არ არის.

**— ამბობენ, ამჟამად 1996-98 წლების „დინამოდან“ ბიუჯეტში არგადახდილი დაახლოებით 3 მილიონი ლარის ექსპერტიზა მიმდინარეობს და თუ ეს დამტკიცდა, ახალი ბრალდებაც მაშინ იქნებაო.**

— თუ არ დამტკიცდა, როდემდე უნდა იყოს პატიმრობაში მერაბ ჟორდანია?! არანაირი ექსპერტიზა არ მიმდინარეობს, ასე რომ იყოს, ეს მე, ადვოკატმა, უნდა ვიცოდე.

**— მაშ, რას იტყვით, რატომ გაჭიანურდა ჟორდანიას გათავისუფლება?**

— ეს ჩემთვის გაუგებარია. პრეზიდენტის პატიმრობაში ყოფნის არანაირი სამართლებრივი საფუძველი დღეს არ არსებობს. პროკურატურა ვალდებული იყო, შინაგან საქმეთა სამინისტროს შუამდგომლობა ჟორდანიას გათავისუფლების თაობაზე 24 საათში დადგენილებით ან დაედასტურებინა, ან არა.

**— და რატომ არ მოხდა ასე?**

— ვფიქრობ, ტექნიკური ხარვეზების გამო. სწორედ იმ დღეს, როცა შუამდგომლობა დაიწერა, დაინიშნა ახალი გენერალური პროკურორი, რასაც მოჰყვა ბევრი ახალი საქმე. ახალდანიშნულ გენერალურ პროკურორთან შეუთანხმებლად, ალბათ, პროკურორებმა დადგენილება ვერ მიიღეს. ორი დღის წინ კი ირაკლი ოქრუაშვილი მოსკოვს გაემგზავრა და ახლა მის დაბრუნებას ველით.

**— თქვენ 24 საათი ახსენეთ. პროკურატურაში კი ამბობენ, შუამდგომლობის განხილვისთვის კანონი 10 დღეს გვაძლევსო...**

— საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის მეორე ნაწილით ასეთი უფლება პროკურატურას მართლაც აქვს, თუმც გარდა იმ შემთხვევისა, როცა პატიმრის გათავისუფლებას იმავე კოდექსის 155-ე მუხლის მესამე ნაწილი ითვალისწინებს. ჟორდანიას სისხლის სამართლით დევნა სწორედ 155-ე მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისადაა შეწყვეტილი.

**— გავიგეთ, თუ ჟორდანია არ გათავისუფლდა, სტრასბურის სასამართლოში აპირებთ სარჩელის შეტანასო. მართალია?**

— დიახ, მართალია. თუ მერაბ ჟორდანიას ინტერესები დაირღვევა, სარჩელის შეტანას სტრასბურში ვაპირებ. ეს პრეზიდენტს უკვე შევთავაზე, თუმც პასუხი ჯერ არ უთქვამს.

**— იმედოვნებთ, რომ მერაბ ჟორდანიას 27 იანვრამდე გაათავისუფლებენ?**

— გულწრფელად ვამბობ, იმედიანად ვარ.

**— ამბობთ როგორც ადვოკატი, თუ როგორც ჟორდანიას ქომაგი?**

— ეს იურისტის იმედია. შინაგანი რწმენა მაქვს, რომ პროკურატურაში საქმე ამ დღეებში საბოლოოდ გაირკვევა და მერაბ ჟორდანია გათავისუფლდება.

**კოგა ინასარიძე**

### იტალია

თასის 1/4 ფინალი
საპასუხო მატჩი

**რომა 1:2 *მილანი* (1:2)**

### ესპანეთი

თასის 1/4 ფინალი. I მატჩები

**ალავესი 4:2 სელტა**

**ბარსელონა 0:1 სარაგოსა**

### კარლსბერგის თასი

**შვედეთი 0:3 ნორვეგია**

**ჰონ კონგი 0:1 ჰონდურასი**

# დაიბრუნეთ ფეხბურთი, დაგვიბრუნეთ სილამაზე!

*მორჩა, „დინამოს" მატჩის რეპორტაჟს აღარ წავიყვან, ყოველ შემთხვევაში, კომენტატორის კაბინაში ყოფნას და მიკროფონში ლაპარაკს მიჯობს, მეგობრებთან ერთად ტრიბუნაზე ჩამოვჯდე და „დინამოს" ასე ვუქომაგო – ჩვენს რუს კოლეგას, „ენტევე ფუტბოლის" წამყვანს მიხეილ მელნიკოვს ქართველი ქომაგი, ალბათ, კარგად იცნობს. მას გუშინ მოსკოვში შევეხმიანეთ და, ბუნებრივია, დიალოგის მეტი წილი თბილისის „დინამოს" თანამეგობრობის თასზე თამაშმა წაიღო. მელნიკოვთან საუბრის გამოქვეყნება გეგმაში არც გვქონდა, ისე, კერძო ამბავი იყო, მაგრამ მერე, ლაპარაკს როცა შევყევით, კოლეგამ ისეთი საინტერესო ამბები მოაყოლა, ჩავთვალეთ, რომ ეს მეგობრული საუბარი არც მკითხველისთვის იქნებოდა უინტერესო*



## რუსი კოლეგის აზრით, დედამიწა სწორად ბრუნავს, როცა დინამო ქართულად თამაშობს

— ფინალი „სკონტო" — „დინამო" იქნება და ჩვენები (თბილისელები) მოიგებენ. სასიამოვნოდ გაოცებული ვარ „დინამოს" თამაშით, უარესის მოლოდინში ვიყავი და ასეთი გუნდი რომ ვნახე, ძალიან გამიხარდა.

— რაო, კოლეგები რას ამბობენ?

— რა უნდა თქვან?! ხომ იცი, ჩვენ ყოველთვის ვქომაგობდით „დინამოს". ველოდით ისეთ „დინამოს", როგორიც გვახსოვს და მოგვწონდა და აგერ, ვნახეთ კიდეც. პატარა ბიჭები ახლა დარწმუნდნენ, რომ ქართული ფეხბურთი გამორჩეულია, მათ ლამაზი ფეხბურთის გემო გაიგეს. მე პირადად „დინამო" კარგა ხანი არ მენახა და, წარმოიდგინე, ახლა, როცა თბილისელთა ასეთ თამაშს ვუცქერ, როგორი ნასიამოვნები ვარ. 1995 წლის მერე, როცა „დინამომ" „სპარტაკთან" ნახევარფინალი 1:2 წააგო, ქართული გუნდი პირველად ითვლება ტურნირის ფავორიტად.

— ჰო, ჩვენც გვგონია, რომ „დინამო" ტურნირს მოიგებს, მაგრამ ამით რა... ევროპაში არაფერი გამოგვდის...

— ხომ გითხარი, „დინამოს" თამაში დიდი ხანია არ მინახავს და, რა გუნდიც ბოლოს ვნახე, ეს „დინამო" იმაზე ათი თავით მაღლა დგას. მაგალითად, ქუთაისის „ტორპედოს" მატჩებს შარშანაც ვესწრებოდი, შარშანწინაც, მაგრამ აშკარად ჩანს, რომ ეს გუნდი გაცილებით ძლიერია. არადა, „ტორპედო" ხომ მაშინ საქართველოს ჩემპიონი იყო. ეს რას ნიშნავს?

— რას ნიშნავს?

— იმას, რომ საქართველოს ჩემპიონი ძალას იკრებს. ხომ გახსოვს, როცა თანამეგობრობის თასის გათამაშება ორ ლიგად დაიყო, ქართველები ქვედა ლიგაში მოხვდნენ. ყოველთვის აგებდნენ „სკონტოსთან", ყველაზე უსუსურ გუნდებთან მოგებაც უჭირდათ. წლეულს კი, ვფიქრობ, „დინამოს" მთელი ძალით კიდევ არ უთამაშია, ეს ხომ პროგრესის ნიშანია?! ცხადია, თბილისის „დინამო" ჩემპიონთა ლიგას ვერ მოიგებს, მაგრამ რაც წეღან ვთქვი, ის ფაქტი თავისთავად ქართული ფეხბურთის გამოცოცხლებაზე მეტყველებს... ეს კი მახარებს.

— რამე ახალი შენიშნე ჩვენების თამაშში? მით უმეტეს, დიდი ხნის უნახავი გუნდი გინახავს...

— სტილი, პრინციპში, იგივეა, მაგრამ ჩანს, რომ გუნდს კარგი მწვრთნელი ჰყავს, რომელიც მატჩის მიმდინარეობისას თამაშს ცვლის და ანგარიშის შესაბამისად მიჰყავს. „დინამო" ორ განსხვავებულ ტაიმს თამაშობს. აშკარაა, რომ შუშაკის ნათქვამი ფეხბურთელებისთვის გასაგებია და ისინიც დავალებას ასრულებენ, გუნდური დისციპლინა ამაღლებულია, თანაც „დინამო" ახლა უფრო სწრაფად თამაშობს.

— არ გგონია, რომ სხვა გუნდების სისუსტის ფონზე ჩანს „დინამო" ძლიერად?

— არა, რატომ?! ასეთი გუნდები არ იყვნენ შარშან და იმის წინაც. მაშინ „დინამო" ასე ვერ თამაშობდა. დღეს კი, ვისაც უნდა ჰკითხო, ფავორიტად ყველა „დინამოს" დაგისახელებს. ის „სკონტო" არაა ახლა, „დინამოს" სადაც დაიჭერდა, იქ რომ უგებდა?! წლეულს მოუგო?! მოუგო კი არა, ის თამაში „დინამოსი" იყო და დიდი ანგარიშითაც მოგება შეეძლო.

— ბიჭებიდან ვინ მოგეწონა?

— დარასელია... ანჩაბაძეს კარგად ვიცნობდი და მისგან არაფერი გამკვირვებია. უფრო იაშვილმა გამაკვირვა, უდავოდ პერსპექტიულია, მაგრამ, ეტყობა, უდისციპლინოა. ასე კი დიდ ფეხბურთს ვერ ითამაშებს. საწყენი იქნება, მასაც ზოგი, ქართველი ფეხბურთელისთვის დამახასიათებელი სენი თუ შეეყარა და დაიკარგა. არადა, ჩანს, უნიჭიერესი ბიჭია. მოუმატებია ალექსიძესაც, თუ ასე გააგრძელა, ნაკრებს გამოადგება, მაგარი თავდამსხმელია... გინდა კაი ამბავი გითხრა?

— რა ამბავი?

— მაშინ, 95-ში, „დინამო" — „სპარტაკზე" ცოლიც მყავდა. ის ფეხბურთის დიდი ქომაგი არაა და გაჭირვებით დავიყოლიე, რომ თამაშზე წამოსულიყო. მატჩის დაწყებამდე არ გაჩერებულა, აქ რატომ მომიყვანეო, მსაყვედურობდა. დაიწყო თამაში, დამთავრდა და უნდა გენახა, რა კმაყოფილი იყო. ახლა გავიგე, ფეხბურთი რა არისო. „დინამოს" თამაშით მან ესთეტიკური სიამოვნება მიიღო და „დინამოს" დღემდე ქომაგობს. ახლაც მითხრა, ხვალინდელ მატჩზე წავიდეთო.

— მერე არ მიგყავს?

— წავიყვან, რატომაც არა, ისიამოვნოს. ლამაზ ფეხბურთზე კარგს რას ნახავს.

— „დინამო" — „შერიფის" რეპორტაჟს შენ არ გაუძღვები?

— დიდი სურვილი არ მაქვს, მეგობრებთან ერთად ტრიბუნაზე ყოფნა მიჯობს, მაგრამ ვნახოთ, თუ დამავალეს...

**ქობა ინასარიძე**

*ლონდონის „ჩელსიში" უიღბლო ტრანსფერისა და გამუდმებული ტრავმების შემდეგ რატი ალექსიძის კარიერის პერსპექტიულობა ცოტას თუ სჯეროდა. თუმცა სჯეროდა თავად რატის და ეს გადამწყვეტიც აღმოჩნდა. იგი [illegible] იქცა „დინამოს" გოლების მანქანად და თანაც მისთვის აქამდე უცხო, შავი სამუშაოს კეთებაც ისწავლა.*

*შედეგიც, რომ იტყვიან, ა, ბატონო: ესენგეს თასზე ჩინებულად მოთამაშე „დინამოში" საუკეთესო თუ არა, ერთ-ერთი პირველთაგანი მაინცაა. რუსული მასმედია კომპლიმენტებს არ ამადლის. ალექსიძე თამაშის იშტაზეა და მისი შეჩერება დღეს „შერიფის" უმთავრესი თავსატეხი იქნება.*

*გუშინ რატის მოსკოვში შევეხმიანეთ...*

## ქრიზანთემა და ფილოსოფია რატი ალექსიძე:

## გადახედე წარსულს და იარე წინ!

## ჩვენი ფეხბურთი ქუჩიდან მოდის და ჩვენი ქუჩები უნდა გაახაროს

— პირობას ასრულებ: ესენგეს თასზე მართლაც ოპტიმალურ ფორმას უახლოვდები. როგორ მოახერხე მოკლე დროში ასეთი პროგრესი?

— როგორც ჩანს, მთავარი მაინც მონდომებაა. ისე არ გამიგოთ, თითქოს აქამდე რამეს ვაკლებდი, მაგრამ... ხომ იცი, ასაკის მატებასთან ერთად ხვდები, რა დრო გაქვს ფუჭად გაფლანგული და ახლა ყველაზე მეტად სწორედ ამას ვერიდები. მართლაც ვგრძნობ, რომ სასურველ კონდიციებს ვუახლოვდები. არადა, ახალ წლებზე არც მივარჯიშია, მაგრამ მონდომებამ ესეც გადაფარა. მოკლედ, ახლა ძალიან კარგად ვიცი: საქმეს თუ ხელს არ მოვაკლებ, საწადელს მივაღწევ.

— უეჭველია, ამ ტურნირზე სელექციონერთა ყურადღება მიიპყარი...

— პირველი თამაშიდან რომ დაიწყო ჩემს ტელეფონზე ზარები, დღემდე არ გაჩერებულა. უამრავი ახალ-ახალი ვარიანტი წამოტივტივდა, მაგრამ, მოდი, დაკონკრეტებას ნუ მომთხოვ. რამდენჯერაც ვთქვი, მივდივარ-მეთქი, იმდენჯერ თითქმის მზა კონტრაქტები ჰაერში გამოეკიდა. ასე რომ, ამ მხრივაც ვისწავლე ჭკუა.

— ქვეყნებს მაინც არ გვეტყვი?

— რუსეთ-უკრაინა, ევროპა, თან არცთუ მეორეხარისხოვანი ქვეყნები. ოღონდ, მოდი, ამაზე აღარ ვილაპარაკოთ.

— „დინამოში" სეზონის ჩამთავრებას გამორიცხავ?

— არა, გამორიცხული არაა, მაისამდე დავრჩე კიდეც, თანაც ამაში საგანგაშოს ვერაფერს ვხედავ, მერე კი აუცილებლად წავალ.

— შენს დღევანდელ სათამაშო ფორმას რომელ რატი ალექსიძეს შეადარებდი?

— იმას, რომელიც ჯერ ინგლისში არ წასულიყო და ყიფიანმა პირველი მატჩი ანდო, მანაც გოლი გაიტანა და მასზე ისე ალაპარაკდნენ, როგორც ქართული ფეხბურთის იმედზე.

— ისევ ესენგეს თასს დავუბრუნდეთ. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოსდა ხელოვნური საფარი „დინამოსთვის" სულაც არაა უცხო...

— ხომ იცი, ჩვენი ფეხბურთი ქუჩიდან მოდის. ასფალტზე არ გვიჭირდა თამაში და აქ რა მოგვივა?! მთავარია ტექნიკა და ბურთთან დამოკიდებულება. ჩვენ ამით ყველას ვაჯობეთ. კიდევ ერთი ფაქტორი — „დინამოში" ადრეც მითამაშია, მაგრამ ასე მონდომებული და შეკრული არასოდეს ყოფილა. ბიჭები შევიკრიბეთ და ვთქვით — მოდი, მოვინდომოთ, ყველაფერი დავდოთ და თასი თბილისში წავიღოთ — ამით გვსურს, ჩვენს ხალხს სულ პატარა სიხარული მაინც ვაჩუქოთ. აქაც არ გვაკლია გულშემატკივრობა, აქაური ქართველობა, როგორც შეუძლია, მხარში გვიდგას. ბავშვს გეფიცები, ისინი „დინამოს" ყვირილს რომ იწყებენ, ტანში ჟრუანტელი მივლის. ამიტომ დაღლილობაც მალე გვავიწყდება.

— შენ რომელ დინამოელს გამოარჩევდი ამ ტურნირზე?

— ვერავის გამოვყოფ, ხომ გეუბნები, გუნდში ისეთი ატმოსფეროა, სულ შენ გენაცვალე, შენი ჭირიმეთი და ჯიგრით ფინალამდე უნდა მივიდეთ და რაღაცას მივაღწიოთ. მოკლედ, ყველა ფეხბურთელი საუკეთესოა.

— „შერიფის" მთავარი მწვრთნელი „დინამოს" ბარიერს ლამის უკვე გადალახულად თვლის, ეს ჟინს ხომ არ შეგმატებთ?

— კარგია, მაგას რა სჯობს, თუ არასაბრძოლო განწყობით გამოვლენ. არანაირი დამატებითი მოტივაცია არ გვჭირდება, ისეთივე შემართებით გავალთ, როგორც სხვა მეტოქეებთან. ჩვენ ისე გვაქვს აკრეფილი, რომ მკვეხარები ვერ შეგვაჩერებენ.

**დავით ერაძე**



# ორი თემა დინამოსთვის

## შუშაკი ორმაგად ფრთხილობს და ფედერაციას ელის



ეროვნული ბიბლიოთეკა

**გუშინ** დინამოელებმა, უფრო სწორად კი იმ ფეხბურთელებმა, რომლებსაც „გომელთან“ მატჩში არ უთამაშიათ ან შეცვლაზე შევიდნენ, ცსკა-ს მანეჟში ივარჯიშეს. ბოლომდე დაიტვირთნენ გოგობერიშვილი, ბობოხიძე, მელქაძე, ხმალაძე, გვარამაძე, ჩიტაია, მამალაძე, შედარებით მსუბუქად ივარჯიშა წერეთელმა. როგორც თავად მამუკამ პროფესიულ ენაზე გვითხრა, როგორც იქნა, „ფეხმა გაუშვა“. ასე რომ, გამორიცხული არაა, წერეთელი „შერიფთან“ მატჩში სათადარიგოთა სკამზეც გამოჩნდეს. კაშიას კი სიცხე აქვს და ექიმების ვარაუდით, 28 იანვრიდან შეუდგება ჩვეულ რეჟიმში მზადებას.

დანარჩენებს ივო შუშაკმა განტვირთვისა და დასვენების საშუალება მისცა. დღევანდელ მატჩზე კი, „შერიფის“ მთავარი მწვრთნელისგან განსხვავებით, ფრთხილი კომენტარი გააკეთა: „ჩვენი მეტოქე საკმაოდ მდიდარი და შეძლებული კლუბია, ამაზე მეტყველებს ისიც, რომ მათთვის არც ხელოვნური საფარია უცხო. ტირასპოლში ოთხი ხელოვნურსაფარიანი და ორიც ბუნებრივი მოედანი აქვთ. გუნდში სამი ბრაზილიელია და ჰყავთ სხვა ქვეყნებიდან ჩამოყვანილი ლეგიონერებიც. მოკლედ, სოლიდური გუნდია და დავრწმუნდი, რომ შარშან ამ ტურნირზე შემთხვევით არ გაუმარჯვია. ჩვენ დაძაბული მატჩისთვის ვემზადებით, რომელშიც გამარჯვებული შესაძლოა, ბოლო წუთებამდე არ გამოვლინდეს“.

მოსკოვში დინამოელთა წარმატებულმა თამაშმა კულუარებში ივო შუშაკის ნაკრებში დაბრუნების თემა წამოატივტივა. მით უმეტეს, რომ მერაბ ჟორდანიას გათავისუფლება ასე გაიწელ-გაჯანჯლდა, ამან კი, ღმერთმა არა ქნას და, შესაძლოა, ანრი მიშელთან წარმატებით დაწყებული მოლაპარაკება ჩიხშიც შეიყვანოს.

ივო შუშაკმა ჩვენს კითხვაზე, რა გადაწყვეტილებას მიიღებდა, ფედერაციას ნაკრების მთავარი მწვრთნელობა რომ შეეთავაზებინა, პასუხს თავი აარიდა, თუმცა გვაგრძნობინა, რომ ამაზე საუბარი ფედერაციამ უნდა დაიწყოსო.

**დავით ერაძე**

# შერიფი თარხნიშვილი: დინამო ძნელი დასაჭერია



*„ესენგეს თასის“ ნახევარფინალში „დინამოს“ გარდა კიდევ ორი „ქრთული გუნდი“ გავიდა. კორლალიძე-მენთეშაშვილის „სკონტო“ ბალტიისპირულ დერბიში „კაუნასის“ ნაქცევას შეეცდება. საქართველოს ჩემპიონს კი ვაჟა თარხნიშვილის „შერიფი“ ჰყავს მეტოქედ. ტირასპოლელები მოსკოვური ტურნირის ჩემპიონები არიან და უჯაროდ დარჩენილმა რუსებმა (მეოთხედფინალში ცსკა „სკონტომ“ მოინელა) „დინამო“ — „შერიფი“ ნაადრევ ფინალად მონათლეს.*

*„შერიფის“ საესენგეო შემადგენლობაში ყველაზე სტაჟიანი ქართველი მცველია. ვაჟა თარხნიშვილი უკვე მეხუთე წელია, ტირასპოლურ კლუბშია და გუნდში მართლაც შერიფივითაა. მოლდოვურ გუნდში ბრაზილიელი, პანამელი, უკრაინელი და ბელარუსი ლეგიონერებიც არიან, მოკლედ, „შერიფი“ გავს გემს, რომლის ინტერნაციონალურ ეკიპაჟს ქართველი კაპიტანი ჰყავს...*

*ვაჟა თარხნიშვილს გუშინ მოსკოვში დავუკავშირდით...*

— ძალიან გამახარეთ. კარგა ხანია, საქართველოდან არ შემხმიანებიან ჟურნალისტები, რით დავიმსახურე თქვენი ყურადღება?

— „ესენგეს თასის“ ნახვარფინალში „დინამოს“ მეტოქეობა გიწევს. რამდენი ხანია, ქართველების. წინაალმდეგ არ გითამაშია?

— ვერც ვიხსენებ. ამაზე არც დავფიქრებულვარ. მგონი, რაც გორიდან წავედი, მას მერე ქართულ გუნდებს არსად შევხვედრივარ.

— უკვე მეხუთე წელია, ტირასპოლში ხარ, დიდხანს შემორჩი „შერიფს“...

— თქვენ არ იცით აქაური ვითარება... ბედნიერი ვარ, რომ ბედმა „შერიფში“ თამაში მარგუნა.

— ასე რით მოგხიბლეს ტირასპოლელებმა?

— საქმისადმი სერიოზული დამოკიდებულებით და იმ იდეალური პირობებით, თითოეულ ფეხბურთელს რომ უნდა ჰქონდეს.

— მაინც რა პირობები გაქვთ ასეთი?

— მოკლედ ვიტყვი: ვარჯიშის და ფეხბურთის თამაშის გარდა, არაფერზე მიწევს ფიქრი.

— „შერიფის“ პროგრესი მართლაც აშკარაა, ერთ დროს რიგითი პერიფერიული გუნდი ფაქტობრივად უკონკურენციოა მოლდოვაში...

— აქ მარტო მოლდოვაზე არ არის ლაპარაკი... „შერიფთან“ ერთად სამჯერ გავხდი ქვეყნის ჩემპიონი, ამდენჯერვე თასი მოვიგეთ, ერთხელ სუპერთასიც მოვიპოვეთ, შარშან კი ესენგეზეც ვიპირველეთ, თუმც შიდა თუ პოსტსაბჭოური ტრიუმფი ჩვენთვის მეორეხარისხოვანია, გვინდა ევრომარაქაში გავერიოთ და საამისოდ ყველა პირობაც გვაქვს.

— ცოტა გადამეტებულად ხომ არ აფასებ „შერიფის“ შესაძლებლობებს?

— მესმის, რომ გიკვირს, მაგრამ ტირასპოლში ჩვენი საფეხბურთო სამფლობელო რომ ნახო, აზრი შეგეცვლება. სუპერთანამედროვე ბაზა გვაქვს, აღმოსავლეთ ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო, იდეალური მოედნებით, სავარჯიშო დარბაზებით, ტრენაჟორებით და საცურაო აუზებით გაწყობილი. „შერიფის“ მეპატრონემ ძალიან დიდი თანხა ჩადო ფეხბურთში, თანაც ამბიციური კაცია ჩვენი პრეზიდენტი, თქვა, ევროპაში უნდა გავჭრათ ფანჯარაო და მჯერა, ასეც იქნება. ვიქტორ გუშანს აქამდე რაც უთქვამს, ყველაფერი შესრულებულა.

— ვიქტორ, გუშანის საქმიანობაზე უფრო კონკრეტულად რას გვეტყვი?

— ჩვენი პრეზიდენტი წარმატებული ბიზნესმენია, დიდი ქონების პატრონი. ჰაერზე ფულს არ ხარჯავს. იცის, რომ ფეხბურთი მომგებიანი ბიზნესია და ამიტომაც გადაყოლილია „შერიფზე“... მოლდავურ ამბებზე ამდენს მეკითხები და გორში რა ხდება ის მითხარი, გავიგე, „დილა“ კარგად თამაშობს ეროვნულ ჩემპიონატში...

— ასეა. გაზაფხულიდან მოწინავე ექვსეულში ითამაშებს და ეგებ ევროსაგზურიც მოიპოვოს. კარგი გუნდი ჰყავს ზურაბ ხორგუაშვილს.

— მაგას ვენაცვალე, ერთად გაზრდილები ვართ, ჩემი ძმაკაცია, მიხარია ხორგუაშვილის სამწვრთნელო წარმატება...

— „შერიფის“ მწვრთნელზეც მითხარი, როგორი კაცია ლეონიდ კუჩუკი?

— ბელარუსია, კარგი სპეციალისტია, ფეხბურთელებთან არ გასჭირვებია მეგობრული ურთიერთობის დამყარება, თუმც მომთხოვნია, დისციპლინის მოყვარული და თავისი საქმის მცოდნე.

— ამ კაცმა ინტერვიუში გვითხრა, „დინამოს“ ნახევარფინალში უთუოდ გავაგდებთო.

— ასე თქვა? მაგას თბილისის „დინამო“ კიევის მეორე შემადგენლობა ხომ არ ჰგონია... მე გაოცებული ვარ თბილისელების ფეხბურთით, რუსები ხომ სულ გაგიჟებულები არიან „დინამოზე“, თავიანთ ცეესკასთვის არ უქომაგიათ ასე. „დინამოს“ ორ თამაშს ტრიბუნიდან ვუყურე და ჩემი ჩათვლით ყველა ალტაცებული დარჩა ქართველებით... კარგი გუნდია „სკონტოც“, აქაურ ხელოვნურ მოედანზე გამოცდილი, ჩვენც არა გვიშავს, „შერიფმა“ ბოლომდე ბრძოლა იცის. მოკლედ, დარჩენილი თამაშები სასეირო იქნება.

— ჩემპიონობის ყველაზე მეტი შანსი რომელს აქვს?

— მე და შენ ინგლისელები რომ ვიყოთ, მაინც „დინამოს“ გეტყოდი, ასეთი შემართული ქართული კლუბი არ მახსოვს.

— გამოდის, ნახევარფინალში წარმატების იმედი არ გაქვს?

— ესენგეს ტურნირამდე ორჯერ ვივარჯიშეთ ხეირიანად. დამავიწყდა, რომ მეთქვა, კუჩუკი ორი კვირის მოსულია გუნდში. მას თავისებური ხელწერა აქვს, ბევრი რამ შეცვალა, მის სათამაშო სქემებთან შესაგუებლად კი დრო და შეთამაშება გვჭირდება ფეხბურთელებს, თანაც შარშანდელი საჩემპიონო შემადგენლობიდან ექვსი კაცი გვაკლია, თანაც რა ხალხი... მარტო დადუ-ტუდორის დუეტი რად ღირს, „ალანიამ“ რომ იყიდა ჩვენგან და ერთიც ნიგერიელი, გვარს ვერ ვიხსენებ, ახლახან ცეესკამ გადაიყვანა. მოკლედ, კუჩუკის მიკვირს, ასე რომ არის დარწმუნებული „შერიფის“ გამარჯვებაში.

— მოლდოვის ჩემპიონატის პირველი წრე პირველ ადგილზე დაასრულეთ. თასზეც წარმატებით თამაშობთ, რატომ შეგეცვალათ მწვრთნელი?

— გაგიკვირდებათ, მაგრამ ეგრეა: უკრაინელი ნაკანეჩნი იმიტომ გაუშვეს, რომ პირველი წრის შემდეგ უახლოეს მდევარს მხოლოდ სამი ქულით ვუსწრებთ. არადა, წინა წლებში სხვაობა 7-10 ქულას აღწევდა. თანაც პრეზიდენტ გუშანს გუნდის თამაშის ხარისხი არ აკმაყოფილებდა, ამიტომ ნაკანეჩნი კუჩუკით შეცვალა და გუნდშიც ბევრი ახალი ფეხბურთელი მიიწვია.

— რომელთა შორის ლეგიონერები სჭარბობენ...

— ჩვენთან ოთხი ბრაზილიელი, სამი ბელარუსი, ორი პანამელი და ორიც უკრაინელი ფეხბურთელი თამაშობს. ბევრი მათგანი ახალგაზრდაა და ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდება, თუმც პერსპექტიული ბიჭები არიან.

— შენი საფეხბურთო გეგმები როგორია?

— „შერიფთან“ კიდევ ორი წელი მაკავშირებს კონტრაქტით. აგვისტოში 33 წლის ვხდები და ვხვდები, რომ საპენსიო დრო ახლოსაა, კარიერის დასასრულებლად კი ტირასპოლზე კარგ ადგილს ვერსად ვნახავ.

**პაატა ძვანტალიანი**



REUTERS

ინტერი — უდინეზე. ობაფემი მარტინსის საგოლე მალაყი

# ასე გადაიკვეთა გზები

## იტალია

### თასის 1/4 ფინალი
### საპასუხო მატჩები

**ინტერი 3:1 უდინეზე (0:0)**

1:0 ვან დერ მეიდე (16), 1:1 ფავა (35), 2:1 მარტინსი (51), 3:1 კრუზი (62პ)

**ინტერი:** ტოლდო, ი. კორდობა, გამარა, ფ. კანავარო, ჰელვეგი, ალმეიდა (ფარინოსი 22), ემრე, ხ. ძანეტი (პასკუალე 65), ვან დერ მეიდე, რეკობა (ხ. კრუზი 46), ო. მარტინსი

**მწვრთნელი:** ალბერტო ძაკერონი

**უდინეზე:** რენარდი, ბერტოტო, კროლდრუპი, ფელიპე, ალბერტო (კასტრომანი 61), პაზიენცა, მუნტარი, პიერი (გუტიერესი 19; იაკინტა 82), იანკულოვსკი, იორგენსენი, ფავა

**მწვრთნელი:** ლუჩანო სპალეტი

**გაფრთხილება:** ბერტოტო, პაზიენცა, კრუზი, ჰელვეგი, კორდობა, ალბერტო

**მსაჯი:** მესინა

2 672 მაყურებელი

**იუვენტუსი 1:0 პერუჯა (2:1)**

1:0 მიკოლი (40)

**იუვენტუსი:** კიმენტი, ტურამი, ლეგროტალიე, იულიანო, პესოტო, მარესკა (აპია 68), ტუდორი (ძამბროტა 84), ტაკინარდი, ზალაიეტა (კამორანეზი 75), დი ვაიო, მიკოლი

**მწვრთნელი:** მარჩელო ლიპი

**პერუჯა:** პარდინი, ზე მარია, ნასტოსი, დი ლორეტო, გროსო, ობოდო, გატი (ინოფო 59), კ. მანფრედინი (ჯოვანი ტედესკო 59), დო პრადო, ძერბინი, ჯანდომენიკო (არანო 75)

**მწვრთნელი:** სერსე კოზმი

**გაფრთხილება:** ტაკინარდი, ტედესკო

**მსაჯი:** კასარა

2 903 მაყურებელი

ფაბრიციო მიკოლიმ თავის ყოფილ გუნდს, „პერუჯას" გოლი გაუტანა და ახალი გუნდი, „იუვენტუსი" იტალიის თასის ნახევარფინალში გაიყვანა. იქ მას „ინტერი" ელის. ქვემოთ სწორედ „იუვესა" და „ინტერის" მეოთხედფინალებზე მოგახსენებთ.

„იუვეს", კაცმა რომ თქვას, თავი ისედაც ქუდში ჰქონდა, რადგან პირველ შეხვედრაში, თან პერუჯაში, „სტადიო რენატო კურიზე" 2:1 მოეგო. რაც შეეხება მიკოლის, მან რამდენჯერმე სცადა გოლის შეგდება, ძირითადად შორიდან ურტყამდა. ხოლო „პერუჯას" ახალწვეულმა, კრისტიან მანფრედინიმ ერთ ეპიზოდში მახვილი კუთხით დაარტყა და მეკარე ანტონიო კიმენტის ფეხით მისწრებამდა უშველა. კიდევ, გოლის გატანა ალესიო ტაკინარდიმაც სცადა, საერთოდ კი ტურინის მოყინულ მინდორზე ბურთის გორება ჭირდა.

ერთი სიტყვით მიკოლის ერთადერთი გოლი გამოდგა ამ შეხვედრის ავისა და კარგის გამრჩევი. ოღონდ თავად გოლის ავტორს არ უზეიმია — ყოფილ თანაგუნდელებს პატივი სცა. ისე კი, თუ ყურადღება მიაქციეთ, იტალიაში ამა თუ იმ მიზეზით გოლის „არზეიმი" ამ ბოლო დროს მოდაში შემოვიდა. მიკოლის მორიგ ცდას „პერუჯას" მეკარე სტეფანო პარდინი დაუდგა მაგრად.

ერთ ეპიზოდში პერუჯელთა ჩაწოდებულ ბურთს ნიკოლა ლეგროტალიემ თითქოს ხელი შეახო, რამაც კამათი გამოიწვია, მაგრამ მსაჯმა პენალტი არ დანიშნა. კიდევ იყო მომენტი, როდესაც „პერუჯას" მწვრთნელი სერსე კოზმი აღშფოთდა. ამჯერად ზე მარიას დარტყმული ჯანლუკა პესოტომ შეაჩერა, ისე ხელით.

ბოლოს მიკოლიმ მარკო დი ვაიო გაიყვანა საგოლე პოზიციაში, მაგრამ პარდინიმ ეს დარტყმა მოიგერია.

„ინტერმა" კი „უდინეზეს" 3:1 აჯობა. ეს გახლდათ პირველი შეხვედრა ძველი პრეზიდენტის, მასიმო მორატის გარეშე. შეგახსენებთ, რომ უდინეში პირველი თამაში 0:0 დამთავრდა.

ალბერტო ძაკერონის არ ჰყავდა კრისტიან ვიერი და კრისტიანო ძანეტი, სამაგიეროდ, ფაბიო კანავარო და ალვარო რეკობა დაბრუნდნენ მოედანზე.

„ინტერმა" თამაში ძლიერად დაიწყო და ენდი ვან დერ მეიდეს გოლამდე ემრეს ჰქონდა გოლის გატანის შესაძლებლობა. ვან დერ მეიდემ კი მე-17 წუთზე ჯარიმიდან ბურთი ისე ჩააზვია, რომ მეტოქის მეკარეცა და მცველებიც გაოცდნენ.

გოლმა მასპინძლებს საკუთარი თავის რწმენა განუმტკიცა და ერთ ხანში ობაფემი მარტინსმა ლონიერი დარტყმით შეაგდო კიდეც ბურთი „უდინეზეს" კარში, მაგრამ მსაჯმა სიხარული არ დაანება, ვალერიო ბერტოტოს წინააღმდეგ თამაშის წესი დაარღვიეო, გამოუცხადა. უნდა ითქვას, რომ მსაჯის გადაწყვეტილება მთლად დამაჯერებელი არ გახლდათ.

პირველ ტაიმში ფეხბურთელი დაუშავდა როგორც ერთ, ასევე მეორე გუნდს. „ინტერიდან" მოედანი მატიას ალმეიდამ დატოვა, ხოლო „უდინეზედან" მირკო პიერიმ, ამის შემდეგ კი დაუნებებელმა „უდინეზემ" ანგარიში გაათანაბრა: ალბერტოს ჩაწოდებული მაღალ ბურთს ორ ინტერელს შორის დინო ფავა აუხტა და თავი ჩაჰკრა ბურთს. ეს გოლი შეიძლება საბედისწერო გამომდგარიყო, რადგან მასპინძლებს მეტი რომ ვერ გაეტანათ, თასის გათამაშებას გამოეთიშებოდნენ. შესაბამისი რეაქცია მოჰყვა ტრიბუნებზეც, მილანელი ქომაგები ძაბავდნენ და ძაბავდნენ მდგომარეობას, „უდინეზემ" კი მსაჯის წამატებულ წუთებში კინაღამ მეორე გოლი შეაგდო — მარტინ იორგენსენმა ახლოდან ძელს გაარტყა ბურთი.

შესვენების შემდეგ კი რეკობა ხულიო კრუზმა შეცვალა და ეს მნიშვნელოვანი იმით გამოდგა, რომ ობაფემი მარტინსმა ხუთ წუთში კლასიკური კონტრშეტევის შედეგად გაიტანა გოლი. ახალგაზრდა ნიგერიელმა მცველებს ქროლვაში აჯობა და უმწეო მეკარეს კაპიტულაცია გამოაცხადებინა.

შემდეგ „უდინეზეს" მოთამაშემ პერ კროლდრუპმა საჯარიმოში ბურთი ხელით იგდო, მაგრამ მსაჯმა პენალტი არ დანიშნა, თუმცა მალე, იმავე კროლდრუპის მიერ ხულიო კრუზის წაქცევისთვის თერთმეტმეტრიანი მაინც დაინიშნა. გოლი თავად არგენტინელმა გაიტანა.

ძაკერონის კი უგუნებობა მაინც მოეძალა — ხავიერ ძანეტიმ შეცვლა ითხოვა, ხოლო ერთი ხნის მერე ემრესაც ასტკივდა რაღაც და თან ამ დროისთვის სამივე ცვლილება უკვე ჩაწერილი იყო შეხვედრის ოქმში. მოგვიანებით მარტინსიც გაცდა მეურვეს და ტკივილით დაეზღერთა...

**პაპუნა ძედია**

# ესპანური წითელი ინგლისური თამაშისთვის

## ესპანეთი

### თასის 1/4 ფინალი
### პირველი მატჩები

**სევილია 4:0 ატლეტიკო**

1:0 დარიო სილვა (20), 2:0 რეიესი (24), 3:0 პაბლო ალფარო (28), 4:0 ბაპტისტა (74)

**სევილია:** ესტებანი, ხავი ნავარო, დავიდ კასტედო, დანიელ ალვესი, ხ. რედონდო (გალიარდო 81), პაბლო ალფარო, ტორადო, მარტი, ბაპტისტა, დარიო სილვა (აიტორ ოსიო 86), რეიესი (მარანიონი 89)

**მწვრთნელი:** ხოაკინ კაპაროსი

**ატლეტიკო:** ბურგოსი, სანტი, სერხი, ლეკი, გასპარი, დე ლოს სანტოსი, მუსამპა, სიმეონე (იბაგასა 46), პაუნოვიჩი, როდრიგო (ფ. ტორესი 46), გაბი (კონტრა 77)

**მწვრთნელი:** გრეგორიო მანსანო

**გაფრთხილება:** სიმეონე, როდრიგო, ტორესი, ხავი ნავარო, გასპარი, ხავი ნავარო

**გაძევება:** ხავი ნავარო (84)

**მწვრთნელი:** პერეს ლასა

30 000 მაყურებელი

**რეალი 3:0 ვალენსია**

1:0 რაული (31), 2:0 რონალდო (81), 3:0 ფიგუ (86პ)

**რეალი:** სესარი, სალგადო, რაულ ბრავო, ი. ელგერა, რობერტო კარლოსი, ფიგუ, ბექემი, გუტი, სოლარი, რაული, ლ. რონალდო (კამბიასო 89)

**მწვრთნელი:** კარლუშ კეიროში

**ვალენსია:** პალოპი, რ. აიალა, მარჩენა, გარიდო, კარბონი, ალბელდა, ბარახა, ვისენტე, რუფეტე (ანგულო 61), აიმარი, მისტა (ხისკო 63)

**მწვრთნელი:** რაფაელ ბენიტესი

**გაფრთხილება:** სოლარი, მარჩენა, ელგერა, ბექემი, ალბელდა, აიმარი, ბექემი, ალბელდა

**გაძევება:** ბექემი (88), ალბელდა (89)

**მსაჯი:** მედინა კანტალეხო

65 000 მაყურებელი

ინგლისის ნაკრების კაპიტანი დევიდ ბექემი მოედნიდან გააძევეს. ეს, რაც იგი მადრიდის „რეალშია" პირველად მოხდა, ხოლო მიზეზად იმას ასახელებენ, რომ ესპანეთში ბექემის სამშობლოსთან შედარებით მსაჯები ფეხბურთელებს ნაკლები კონტაქტის საშუალებას აძლევენ.

საკუთრივ მატჩი სათასო გახლდათ, „რეალმა" „ვალენსიას" 3:0 მოუგო, ბექემმა კი პირველი ყვითელი ბარათი სადღაც მეორე ტაიმის შუაში მიიღო, როგორც ამბობენ, რაღაცის თქმისთვის. ამის შემდეგ კი, მატჩის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე ინგლისელი არგენტინელი პაბლო აიმარის წინააღმდეგ თამაშისას დაჯარიმდა და მოედნიდან დაიფრინეს კიდეც. მატჩის შემდეგ ბექემმა განაცხადა:

„აშკარად დაუმსახურებლად გამაძევეს, რადგან უკან მოვრბოდი და მეტოქის კოჭს მხოლოდ შევეხე, ხოლო პირველი ყვითელი რატომ მივიღე, არ ვიცი. მსაჯისთვის რამე მართლაც რომ მეთქვა, როგორ გაიგებდა? აქ, ესპანეთში ინგლისელი ფეხბურთელისთვის ამ მხრივ ცოტა ძნელია, რადგან მენტალიტეტია სხვანაირი, ის, რაც პრემიერლიგაში ჩვეულებრივ ამბად ჩაგეთვლება, აქ დაუშვებელია. ინგლისში ასეთი ინციდენტის გამო ნამდვილად არავინ გამაგდებდა, მაგრამ ამის გამო მსაჯს არ ვერჩი. ეს მისი გადასაწყვეტი იყო და მორჩა".

ასე და ამგვარად, ბექემი საპასუხო შეხვედრას გამოსტოვებს, თუმცა „ვალენსიას" რომ სამგოლიანი ჩამორჩენის გამოსწორება გაუჭირდება, ამას რად უნდა ლაპარაკი, მადრიდელთაგან გოლები გაიტანეს რაულმა, რონალდომ და ლუიშ ფიგუმ.

„ვალენსიამ" თავიდანვე ჯიქურ ითამაშა — მასპინძლების საჯარიმოსთან ბურთი გააგორ-გამოაგორა და პირველსავე წუთებში ორჯერ შექმნა საგოლე მომენტი. პირველად ეს ალბელდას შეეძლო, როდესაც მეტოქის საჯარიმოში ბურთი დაიმორჩილა, მაგრამ მისი დარტმული მიზანს ცოტათი აცდა. შემდეგ აშკარად საგოლე მომენტი მისტამ ვერ გამოიყენა და გუნდიანად დაისაჯა კიდეც: 32-ე წუთზე სანტიაგო სოლარის პასს რაულმა თავი გაჰკრა შედეგიანად.

შესვენების შემდეგ „ვალენსიამ" ანგარიშის გათანაბრება სცადა, მაგრამ პირიქით კი მოხდა — ჯერ რონალდომ გაიტანა მეორე გოლი, შემდეგ კი პენალტით მესამე ლუიშ ფიგუმ შეაგდო. პენალტი კარლოს მარჩენას მიერ რაულის წაქცევისთვის დაინიშნა.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, შეხვედრის დასრულებამდე სამი წუთით ადრე მსაჯმა მოედნიდან ბექემი გააძევა, ხოლო მას ზურგში ალბელდაც მიჰყვა — მალე მანაც მეორე ყვითელი მიიღო.

ხოლო სამეფო თასის კიდევ ერთ შეხვედრაში „სევილიამ" შესუსტებულ „ატლეტიკოს" 4:0 მოუგო. ამ ოთხიდან სამი გოლი სევილიელებმა ათ წუთში გაიტანეს.

**პაპუნა ძედია**




REUTERS

რეალი — ვალენსია. დევიდ ბექემს ერთი ყვითელი არ ჰყოფნის

ეროვნული ბიბლიოთეკა




კენი მილერის დარტყმულს ირჟი დუდეკი ვერ მისწვდა

# კვლავ ის ბიჭი

## ინგლისი

### პრემიერლიგა
### გადადებული მატჩი

**ვულვერჰემპტონი 1:1 ლივერპული**

0:1 შეირუ (42), 1:1 მილერი (90)

**ვულვერჰემპტონი:** ოუქსი, ირვინი, კრადოკი, ბატლერი, ნეილორი, ნიუტონი (კამერონი 20), რაე, ინსი, კენედი (სილასი 72), ივერსენი (განია 82), კ. მილერი

**მწვრთნელი:** დეივ ჯონსი

**ლივერპული:** დუდეკი, ფინანი, ბისკანი (ანშო 45), ჰიიპია, კარაგერი, შეირუ (დენი მერფი 75), ჰამანი, ჯერარდი, კიუელი, ოუენი, ჰესკი

**მწვრთნელი:** ჟერარ ულიე

**გაფრთხილება:** ინსი, რაე, კარაგერი

**მსაჯი:** ნაითი

29 380 მაყურებელი

ვულვერჰემპტონის სტადიონი „მოლინო“ ბოლო ოთხ დღეში მეორედ ზეიმობდა, შაბათს „ვულვზმა“ „მანჩესტერი“ დაამარცხა, ოთხშაბათს კი ბოლო წუთზე ქულა გამოგლიჯა „ლივერპულს“. გმირი ორივეჯერ ერთი ბიჭი გამოდგა — სქოთი კენი მილერი. მან შაბათს „მანჩესტერს“ გაუტანა, ახლა კი „ლივერპულს“. მილერის გოლი ბოლო წუთზე, დენის ირვინის კროსს მოჰყვა და ლივერპულელები სახტად დატოვა: მწყობრში დაბრუნებული ირჟი დუდეკი ვერაფერს გახდა.

ჟერარ ულიეს გუნდი ნამდვილად არ ფიქრობდა, რომ ამ თამაშში ფრე გამოუვიდოდა. ოღონდაც, „ლივერპული“ კვლავაც თავისმა მშრალგოლიანობამ დაღუპა: ბრუნო შეირუს მიერ პირველი ტაიმის მიწურულს გატანილს გუნდმა ვერაფერი შემატა. მაიკლ ოუენს და დენი მერფის მეტი სიზუსტე რომ გაეშვათ ფეხში, სტუმრები თამაშის მოკვლას შეძლებდნენ და მილერის გოლი მხოლოდ პრესტიჟისად დარჩებოდა. ბოლო საგოლე მომენტი ლივერპულელებს 85-ე წუთზე ჰქონდათ: იმავ მერფიმ ძელი დააზანზარა.

მოპოვებული ქულის მიუხედავად „ვულვზი“ კვლავაც რჩება ბოლოდან მეორე ადგილზე, თუმცა, უახლოეს ზედა გუნდთან უკვე ქულალა აშორებს, გადარჩენის ზონასთან კი მხოლოდ სამი.

**ირაკლი გამყრელიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 22 | 15 | 7 | 0 | 42:14 | 52 |
| მანჩესტერი | 22 | 16 | 2 | 4 | 40:15 | 50 |
| ჩელსი | 22 | 14 | 4 | 4 | 40:17 | 46 |
| ჩარლტონი | 22 | 10 | 7 | 5 | 31:23 | 37 |
| ლივერპული | 22 | 9 | 6 | 7 | 32:24 | 33 |
| ნიუკასლი | 22 | 8 | 9 | 5 | 30:23 | 33 |
| ფულემი | 22 | 9 | 4 | 9 | 34:32 | 31 |
| საუთჰემპტონი | 22 | 8 | 6 | 8 | 21:18 | 30 |
| ბირმინგემი | 21 | 8 | 6 | 7 | 19:25 | 30 |
| ბოლტონი | 22 | 7 | 8 | 7 | 26:33 | 29 |
| ტოტენჰემი | 22 | 8 | 3 | 11 | 26:31 | 27 |
| ასტონ ვილა | 22 | 7 | 6 | 9 | 21:27 | 27 |
| მიდლსბრო | 21 | 6 | 7 | 8 | 20:26 | 25 |
| ევერტონი | 22 | 6 | 6 | 10 | 25:29 | 24 |
| სიტი | 22 | 5 | 8 | 9 | 31:33 | 23 |
| ბლეკბერნი | 22 | 6 | 5 | 11 | 32:36 | 23 |
| პორტსმუთი | 22 | 6 | 4 | 12 | 25:33 | 22 |
| ლესტერი | 22 | 4 | 8 | 10 | 31:38 | 20 |
| ვულვზი | 22 | 4 | 7 | 11 | 20:44 | 19 |
| ლიდსი | 22 | 4 | 5 | 13 | 19:44 | 17 |

# ბოლტონი ფინალს ეზომება
## ოკოჩამ წასვლამდე დუბლი დატოვა

## ინგლისი

### ლიგის თასი
### 1/2 ფინალი. პირველი მატჩი

**ბოლტონი 5:2 ასტონ ვილა**

1:0 ოკოჩა (2), 2:0 ნოლანი (9), 3:0 იანაკოპულოსი (17), 3:1, 3:2 ანჯელი (20, 56), 4:2 ნგოტი (74), 5:2 ოკოჩა (80)

**ბოლტონი:** იასკელაინენი, ჰანტი, ნგოტი, ტომე, ბერნესი (ჩარლტონი 63), კამპო, იანაკოპულოსი (პედერსენი 69), ჯორკაეფი (ბა 84), ოკოჩა, ნოლანი, ს. დევისი

**მწვრთნელი:** სემ ალარდაისი

**ასტონ ვილა:** სორენსენი, დილანი, მელბერგი (იონსენი 54), დაბლინი, ჯ. სამუელი, ჰენდრი, გ. მაკკანი, უიტინგემი, ბერი (ჰიცლსპერგერი 57), ვასელი (ოლბოკი 77), პ. ანჯელი

**მწვრთნელი:** დევიდ ოლირი

**გაფრთხილება:** მაკკანი, ვასელი, ჰენდრი, დაბლინი

**მსაჯი:** დარკინი

16 302 მაყურებელი

კარლინგის თასის ნახევარფინალის პირველი მატჩი „ბოლტონმა“ 5:2 მოუგო „ასტონ ვილას“ და ახლა ფინალამდე ნაბიჯილა დარჩა. ჯეი-ჯეი ოკოჩამ, რომელმაც მაინც გადაწყვიტა აფრიკის თასზე გამგზავრება, წასვლამდე უკანასკნელი მატჩი ითამაშა და შეხვედრის პირველი და ბოლო გოლები გაიტანა.

17 წუთის თავზე „ბოლტონი“ უკვე 3:0-ს იგებდა, თუმცა მეორე ტაიმში აღმოაჩინა, რომ უკვე 3:2-სლა იგებს და ვითარება ამ თამაშში ბოლო 20 წუთშილა გაირკვა.

ოკოჩა, რომელმაც ნიგერიაში ბანკის გაკოტრების გამო ლამის მთელი დანაზოგი დაკარგა და ამიტომ ბოლტონში დარჩენა და ფულის გამომუშავება გადაწყვიტა, ბოლოს და ბოლოს მაინც უკაპიტნებს ნიგერიელებს ტუნისში დაგეგმილ აფრიკის თასზე.

„მძიმე კვირა მქონდა, თუმცა გუნდის დახმარება მაინც ძალიან მინდოდა და გამომივიდა კიდეც“ — თქვა ბრწყინვალე ფორმაში მყოფმა ფეხბურთელმა, რომელსაც სანაკრებო ამბის გამო გაუცდება. ნახევარფინალის მეორე მატჩი.

გაკვირვებული იყო ბოლტონელთა მენეჯერი სემ ალარდაისი: „ოდნავ დაბნეული ვარ, უცნაური თამაში იყო. სამ ბურთს ვიგებდით. მათი მეორე გოლი თამაშგარედან გავიდა, ოკოჩა კი კლუბის ისტორიაში საუკეთესო მოთამაშეა.

„ვილას“ თავკაცმა დევიდ ოლირიმ კი განაცხადა: „იმედგაცრუებული ვარ. დღეს დავიჩაგრეთ, თუმცა, ცუდად არ გვითამაშია. საპასუხო მატჩი მათთვის მძიმე უნდა იყოს“.

კარლინგის თასის ფინალი 29 თებერვალს გაიმართება კარდიფში და მისი მომგები უეფას თასის საგზურს მიიღებს. მეორე ნახევარფინალში „არსენალი“ და „მიდლსბრო“ არიან, რომელმაც სამშაბათს 1:0 მოიგო „ჰაიბერიზე“, სადაც „მეთოფეებმა“ სათადარიგო გუნდით ითამაშეს.

**ირაკლი გამყრელიძე**



REUTERS

ჯეი-ჯეი ოკოჩამ „ბოლტონს“ ფინალი, ფაქტობრივად, გაუნაღდა



REUTERS

მონაკო — ნიცა. ფერნანდო მორიენტესს ფეხით გატანაც შეძლებია

# მორიენტესს ფეხი უპოვეს

## საფრანგეთი

### პირველი დივიზიონი
### გადადებული მატჩები

**მონაკო 1:1 ნიცა**

1:0 მორიენტესი (41), 1:1 მესლინი (90პ)

**მონპელიე 1:3 სოშო**

0:1 ფრო (14), 1:1 ბამოგო (22პ), 1:2, 1:3 ფრო (29, 44)

ორი მატჩის შედეგმა ცხრილში ვერაფერი შეცვალა. ლაჟვარდოვანი სანაპიროს დერბი „მონაკოსა“ და „ნიცას“ შორის გამორჩეული იყო, რადგან სტუმართა შორის მარკო სიმონე თამაშობდა. იტალიელმა საფრანგეთში თავისი საუკეთესო წლები „მონაკოში“ გაატარა. სიმონეს ჟერნო როსმა ოდენ ერთი ტაიმი დაუთმო, შესვენების შემდეგ კი შეცვალა.

მასპინძლები ფერნანდო მორიენტესის გოლით პირველი ტაიმის მიწურულს დაწინაურდნენ. ესპანელმა ფორვარდმა ფეხით შეაგდო. აღმოჩნდა, რომ ჩემპიონატის მატჩებში „ელ მოროს“ აქამდე მხოლოდ თავით გაჰქონდა.

მეორე ნახევრის დასაწყისში მარკო სიმონეს კრისტოფ მესლინი ჩაუნაცვლეს. ახალშესულმა თავდამსხმელმა დამხვდურებს უმალ ერთი კაცი გამოაკლო. მეკარესთან პირისპირ გასული მონაკოელმა პატრის ევრამ წააქცია და მსაჯმა ევრა გააძევა.

აურაცხელი ჯარიმების გამო შეხვედრა მალ-მალე წყდებოდა, რამაც მატჩის გაწელვა გამოიწვია. ბოლო წუთზე სებასტიან სკილაჩიმ საკუთარ საჯარიმოში ბურთი აშკარად ხელით მოიგერია, რისი საჭიროებაც არ არსებობდა. „მონაკოს“ კარში პენალტი დანიშნეს, რომელიც მესლინმა გამოიყენა და და სანაპიროს ბინადრებმა ქულები გაიყვეს. „დასანანი ფრეა, მაგრამ ყოველთვის ხომ ვერ მოვიგებთ“ — დაიჩივლა ნამატჩევს ლუდოვიკ ჟიულიმ.

მონპელიეში მხოლოდ ერთი ტაიმი იკმარეს. გოლები შესვენებამდე გაიტანეს, მეორე ნახევარში კი აღსანიშნავი არაფერი მომხდარა. პიერ ალან ფრომ ჰეთ თრიქი ნახევარ საათში ჩაატია და ლიგის ბომბარდირ ჯიბრილ სისეს მხოლოდ ერთითღა ჩამორჩება.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მონაკო | 22 | 15 | 5 | 2 | 39:15 | 50 |
| პსჟ | 22 | 12 | 6 | 4 | 27:16 | 42 |
| ოსერი | 22 | 13 | 2 | 7 | 36:18 | 41 |
| სოშო | 22 | 11 | 6 | 5 | 32:23 | 39 |
| ლიონი | 21 | 11 | 5 | 5 | 35:20 | 38 |
| ბორდო | 21 | 10 | 5 | 6 | 24:18 | 35 |
| მარსელი | 20 | 11 | 0 | 9 | 27:23 | 33 |
| ნანტი | 22 | 9 | 5 | 8 | 23:18 | 32 |
| ნიცა | 22 | 7 | 11 | 4 | 19:17 | 32 |
| ლანსი | 22 | 9 | 3 | 10 | 18:31 | 30 |
| რენი | 22 | 6 | 8 | 8 | 24:23 | 26 |
| სტრასბური | 22 | 7 | 5 | 10 | 34:35 | 26 |
| აიაჩო | 22 | 7 | 4 | 11 | 21:30 | 25 |
| ბასტია | 22 | 6 | 6 | 10 | 23:32 | 24 |
| მეცი | 21 | 6 | 5 | 10 | 16:21 | 23 |
| ლილი | 22 | 5 | 7 | 10 | 21:27 | 22 |
| მონპელიე | 21 | 6 | 3 | 12 | 28:38 | 21 |
| ტულუზი | 22 | 5 | 6 | 11 | 18:30 | 21 |
| გენგამი | 22 | 6 | 3 | 13 | 22:36 | 21 |
| ლე მანი | 22 | 4 | 7 | 11 | 18:34 | 19 |

## ჰოლანდია

### პირველი დივიზიონი
### გადადებული მატჩი

**როდა 1:2 აიაქსი**

1:0 ანასტასიუ (14), 1:1 სიკორა (49), 1:2 სოტერსი (62)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აიაქსი | 16 | 13 | 1 | 2 | 41:17 | 40 |
| პსვ | 16 | 11 | 4 | 1 | 44:13 | 37 |
| ალკმაარი | 16 | 10 | 2 | 4 | 34:17 | 32 |
| ფეიენოორდი | 16 | 8 | 4 | 4 | 30:21 | 28 |
| ტილბურგი | 16 | 8 | 3 | 5 | 26:24 | 27 |
| ჰერენვენი | 16 | 8 | 2 | 6 | 20:19 | 26 |
| ტვენტე | 16 | 8 | 1 | 7 | 31:28 | 25 |
| უტრეხტი | 16 | 7 | 4 | 5 | 21:18 | 25 |
| როდა | 16 | 5 | 6 | 5 | 27:21 | 21 |
| როზენდალი | 16 | 5 | 6 | 5 | 16:18 | 21 |
| გრონინგენი | 16 | 5 | 5 | 6 | 22:25 | 20 |
| ნაიმეგენი | 16 | 6 | 1 | 9 | 19:27 | 19 |
| ბრედა | 16 | 5 | 3 | 8 | 25:25 | 18 |
| ვალვაიკი | 16 | 4 | 5 | 7 | 19:22 | 17 |
| ვიტესი | 16 | 2 | 7 | 7 | 23:30 | 13 |
| ვოლენდამი | 16 | 3 | 4 | 9 | 17:44 | 13 |
| დენ ჰააგი | 16 | 2 | 4 | 10 | 12:35 | 10 |
| ზვოლე | 16 | 1 | 4 | 11 | 9:32 | 7 |

## შოტლანდია

### ასოციაციის თასი
### 1/8 ფინალის წილისყრა

*7 თებერვალი:* კლაიდი — დანფერმლაინი; ფოლკირკი — აბერდინი; ჰართსი — სელტიკი; მოზერუელი — ქუინი; პარტიკი — ჰამილტონი; სენტ მირენი — ინვერნესი

*8 თებერვალი:* კილმარნოკი — რეინჯერსი; სპარტანსი — ლივინგსტონი

## პორტუგალია

### თასის 1/4
### ფინალის წილისყრა

ნავალი — ბრაგა; ბენფიკა — ნასიონალი; ბელენენსეში — ეშტორილი; რიუ ავე — პორტუ

*მატჩები გაიმართება 11 თებერვალს*

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

# დიდი დაბრუნება

## ადრიანო ინტერშია, ძაკერონი ოცნებეში

| 22.30 | 5214 | რეალი-ვილიარეალი | 1,95 | 1,65 |
| 00.30 | 5216 | ალბასეტე-ატლეტიკო | 1,75 | 1,85 |
| | | **25 იანვარი** | | |
| 18.00 | 5204 | კიევო-ბრეშა | 1,75 | 1,85 |
| 18.00 | 5205 | ლეჩე-ლაციო | 1,9 | 1,7 |
| 18.00 | 5206 | მილანი-ანკონა | 2,2 | 1,5 |
| 18.00 | 5208 | მოდენა-ინტერი | 1,75 | 1.85 |
| 18.00 | 5209 | პარმა-ბოლონია | 1,75 | 1.85 |
| 18.00 | 5210 | რომა-უდინეზე | 1,9 | 1.7 |
| 23.30 | 5211 | ემპოლი-იუვენტუსი | 1,9 | 1.7 |
| 20.00 | 5217 | მალაგა-ვალიადოლიდი | 1,75 | 1,85 |
| 20.00 | 5218 | ვალენსია-ოსასუნა | 1,8 | 1,8 |
| 20.00 | 5219 | სარაგოსა-მალიორკა | 1,75 | 1,85 |
| 20.00 | 5220 | რასინგი-მურსია | 1,8 | 1,8 |
| 20.00 | 5221 | სელტა-სოსიედადი | 1,85 | 1,75 |
| 20.00 | 5222 | ესპანიოლი-ბეტისი | 1,75 | 1,85 |
| 22.00 | 5223 | სევილია-ბარსელონა | 1,8 | 1,8 |
| 24.00 | 5224 | ბილბაო-დეპორტივო | 1,85 | 1,75 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|---|
| | | **24 იანვარი** | | | |
| 21.00 | 5502 | სიენა-პერუჯა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.30 | 5503 | სამპდორია-რეჯინა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 22.30 | 5514 | რეალი-ვილიარეალი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 00.30 | 5516 | ალბასეტე-ატლეტიკო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| | | **25 იანვარი** | | | |
| 18.00 | 5504 | კიევო-ბრეშა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.00 | 5505 | ლეჩე-ლაციო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.00 | 5506 | მილანი-ანკონა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.00 | 5508 | მოდენა-ინტერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.00 | 5509 | პარმა-ბოლონია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.00 | 5510 | რომა-უდინეზე | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.30 | 5511 | ემპოლი-იუვენტუსი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.00 | 5517 | მალაგა-ვალიადოლიდი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.00 | 5518 | ვალენსია-ოსასუნა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.00 | 5519 | სარაგოსა-მალიორკა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.00 | 5520 | რასინგი-მურსია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.00 | 5521 | სელტა-სოსიედადი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.00 | 5522 | ესპანიოლი-ბეტისი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 22.00 | 5523 | სევილია-ბარსელონა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 24.00 | 5524 | ბილბაო-დეპორტივო | 3,0 | 2,8 | 2,0 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **24 იანვარი** | | | | | | | | | |
| 21.00 | 5102 | სიენა-პერუჯა | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| 23.30 | 5103 | სამპდორია-რეჯინა | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| 22.30 | 5114 | რეალი-ვილიარეალი | 1,8 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 4,8 | 12,0 | 20,0 | 12,0 | 12,0 |
| 00.30 | 5116 | ალბასეტე-ატლეტიკო | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,8 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,6 |
| | | **25 იანვარი** | | | | | | | | | |
| 18.00 | 5104 | კიევო-ბრეშა | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 18.00 | 5105 | ლეჩე-ლაციო | 4,6 | 10,0 | 20,0 | 5,3 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,5 |
| 18.00 | 5106 | მილანი-ანკონა | 1,15 | 25,0 | 50,0 | 3,8 | 7,5 | 30,0 | 40,0 | 40,0 | 30,0 |
| 18.00 | 5108 | მოდენა-ინტერი | 6,5 | 10,0 | 20,0 | 7,0 | 4,4 | 4,0 | 20,0 | 10,0 | 3,0 |
| 18.00 | 5109 | პარმა-ბოლონია | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| 18.00 | 5110 | რომა-უდინეზე | 1,7 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 4,6 | 15,0 | 20,0 | 15,0 | 15,0 |
| 23.30 | 5111 | ემპოლი-იუვენტუსი | 10,0 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 4,6 | 3,4 | 20,0 | 10,0 | 2,2 |
| 20.00 | 5117 | მალაგა-ვალიადოლიდი | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 20.00 | 5118 | ვალენსია-ოსასუნა | 2,0 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 4,4 | 12,0 | 20,0 | 11,0 | 11,0 |
| 20.00 | 5119 | სარაგოსა-მალიორკა | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| 20.00 | 5120 | რასინგი-მურსია | 2,3 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| 20.00 | 5121 | სელტა-სოსიედადი | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| 20.00 | 5122 | ესპანიოლი-ბეტისი | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 1,00 | 4,0 |
| 22.00 | 5123 | სევილია-ბარსელონა | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 24.00 | 5124 | ბილბაო-დეპორტივო | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,8 |

## ტურში გატანილი გოლების რაოდენობა

24.01 21.00 6001 იტალია A (XVIII) ............ 23 და ნაკლები – 1,9; 25 და მეტი – 1,9
24.01 22.30 6002 ესპანეთი Iდ (XXI) ............ 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9
23.01 01.30 6003 პორტუგალია სლ (XIX) ............ 22 და ნაკლები – 1,9; 24 და მეტი – 1,9
23.01 23.00 6004 ჰოლანდია Iდ (XVII) ............ 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9
24.01 23.00 6005 ბელგია Iდ (XIX) ............ 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# თასი მოიცდის

## ახმაურებულმა აჭარამ თბილისელები შეაკრთო



*აჭარაში გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის, გუნდებში არსებული ფინანსური სიდუხჭირისა თუ ტრავმიანობის გამო ბათუმში გასამართი თასის გათამაშების მეორე ეტაპი გაურკვეველი ვადით გადაიდო. შეგახსენებთ, რომ რუსთავში გუშინწინ დასრულებულმა თასის პირველმა ეტაპმა ოთხი საუკეთესო გამოავლინა, რომლებსაც 26-28 იანვარს ბათუმში ფინალის საგზურებისთვის უნდა ებრძოლათ, თუმც „ბასკოს", „დინამოს", „სტუ-ჯეოსელსა" და „რუსთავს" მოცდა მოუწევთ მანამ, სანამ ფედერაცია ახალ თარიღს არ დაადგენს*

რაკი თასის მეორე ეტაპის გადადების მიზეზები უკვე იცით, ახლა კონკრეტულად იმაზე, თუ ვის რა პრობლემა ჰქონდა. თუმც, თავდაპირველად ტურნირის ორგანიზატორს, კალათბურთის ფედერაციის გენერალურ მდივანს მერაბ რატიშვილს მოვუსმინოთ:

„თასის მეორე ეტაპის გადადება ძირითადად საკალენდრო მიზეზით მოხდა. მოგეხსენებათ, ეროვნული ჩემპიონატი 3 თებერვალს განახლდება და გუნდებმაც თხოვნით მოგვმართეს, ბათუმში გასამართი თამაშები სამომავლოდ გადაგვედო. ძირითადად ტრავმებს უჩივიან, ისედაც არაერთი დაშავებული გვყავს და ბათუმში რომ ვინმეს რამე შეემთხვეს, საჩემპიონატოდ გუნდს სათანადოდ ვერ დავაკომპლექტებთო. ჩვენც ანგარიში გავუწიეთ თასის მონაწილეებს და დღეს გამართულმა ფედერაციის გამგეობის სხდომამ თასის მეორე ეტაპი გაურკვეველი ვადით გადადო. ჯერ არ ვიცით, როდის ჩატარდება ოთხეულის თამაშები, თუმც ისინი უთუოდ ბათუმში გაიმართება."

საკუთრივ ბათუმელებს არავითარი პრობლემა არ ჰქონიათ. ისინი მზად იყვნენ, თასის ოთხეულისთვის წინასწარ დათქმულ დროს ემასპინძლათ, ხოლო რაც შეეხება დანარჩენ გუნდებს, აი, მათი მწვრთნელების კომენტარებიც...

„ტრავმებს კი ვუჩივით, მაგრამ ამის გამო არ გვითქვამს უარი ბათუმში წასვლაზე — გვითხრა „სტუ-ჯეოსელის" მთავარმა მწვრთნელმა ნუგზარ ჭეიშვილმა — არც ის გვადარდებს, ჩემპიონატი მალე რომ უნდა განახლდეს, უბრალოდ, თავი აჭარაში არსებული საგანგებო მდგომარეობის გამო შევიკავეთ. არც ერთ მშობელს არ უნდოდა, შვილის ბათუმში გაშვება. უამრავი პრობლემა შეგვექმნებოდა — მოგეხსენებათ, მატარებელი ბათუმამდე არ მიდის, თანაც არა მგონია, სავარჯიშო პირობები გვქონოდა. ქალაქში, სადაც ორი-სამი კაცის შეკრება იკრძალება, თავისუფლად ვერ ვიგრძნობდით თავს, რა უნდა გვექნა, სასტუმროში გამოვკეტილიყავით და კარტი გვეთამაშა? სხვა მხრივ, არანაირი პრობლემა არ არსებობს. მე ძალიან მიყვარს ბათუმი და იქ ბევრი მეგობარიც მყავს. მალე ალბათ ყველაფერი დარეგულირდება და წავალთ, აბა, რას ვიზამთ."

ცნობილი იყო, რომ რუსთაველები ფინანსური პრობლემების გამო ვერ ახერხებდნენ ბათუმში გამგზავრებას, თუმცა მათმა მწვრთნელმა ოთარ ხმელიძემ სულ სხვა არგუმენტი მოიყვანა:

„ჩვენს გუნდს ფინანსურად კი უჭირს, მაგრამ თუ სხვა გზა არ იქნებოდა, როგორმე წავიდოდით ბათუმში. მგზავრობის პრობლემის მოგვარებას „დინამო" დაგვპირდა, ამ დღეებში კი რუსთავის მერსაც შევხვდი და მანაც აღგვითქვა დახმარება. ფედერაციას ჩვენ ძირითადად ტრავმირებული კალათბურთელების გამო ვთხოვეთ მეორე ეტაპის გადადება. ისედაც არ გვაკლია დაშავებულები, თანაც „დინამოში" უკვე გადავიდა რამაზ გოგობერიშვილი და ბათუმში რომელიმე ლიდერსაც რომ რამე მოსვლოდა, რთულ მდგომარეობაში აღმოვჩნდებოდით."



მერაბ რატიშვილი

რაც შეეხება „დინამოს" პოზიციას, მისმა მეორე მწვრთნელმა ზურა ტომარიძემ იუარა კომენტარის გაკეთება, გუნდის მთავარი მწვრთნელი დრაჟენ ბრაიკოვიჩიაო.

მაშ ასე, თასის მეორე ეტაპის გამართვის ადგილი უცვლელია, მაგრამ ჯერ არ გადაწყვეტილა, ბათუმური მატჩები როდის ჩატარდება. ფედერაციის გენმდივნის განცხადებით, ალმასკომი ჩემპიონატის მსვლელობისას შეიკრიბება და ეს საკითხიც მაშინ გადაწყდება.

**ირაკლი პერტაია**

# ბათუმი ხომ აქვეა ანატოლი ბოისა არ დაიკარგება

**ერთ ბოისას** უკვე იცნობს ევროპა — ვლადიმერი ლიუბლიანის „ოლიმპიას" კაპიტნობს, თუმც არაა გამორიცხული, მისი პატარა ძმა ანატოლიც გაიჭრას ბებერ კონტინენტზე. ტოლიკას გერმანული „მიტელდოიჩერის" ვარიანტი გამოუჩნდა და თუ ეს ტრანსფერი გამოვიდა, იგი ახლახან ამ გუნდში „ბენეტონიდან" განათხოვრებული მანუჩარ მარკოიშვილის თანაგუნდელი გახდება.



ანატოლი ბოისა ნახტომისთვის მზადაა

ანატოლი ბოისამ წინა სეზონი ამერიკაში, ტეხასურ „მიდლენდში" გაატარა. ტოლიკას სტუდენტურ ლიგაში, კერძოდ კი ტენესის შტატის უნივერსიტეტის გუნდში თამაშის შანსიც მიეცა, მაგრამ იქაური კანონების თანახმად, ეს არ მოხერხდა. ბოისას ის დრო გაუხსენეს, საქართველოში რომ თამაშობდა, აქაოდა, სამშობლოში ფულს გიხდიდნენ და სამოყვარულო სტუდენტურ ლიგაში ვერ ითამაშებო.

„პატარა" ბოისა ახლახან დაბრუნდა ამერიკიდან და რუსთავში გასრულებულ საქართველოს თასის გათამაშების პირველ ეტაპზე არაერთი მწვრთნელის ყურადღებაც მიიქცია. ტოლიკაც თანახმაა საქართველოში თამაშზე, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ გერმანული კლუბის ვარიანტი ჩაიშლება.

„ხვალ ჩემი ძმის ზარს ველოდები, რომელმაც საბოლოო პასუხი უნდა მაცნობოს, ვუნდივარ თუ არა გერმანელებს — გვითხრა პატარა ბოისამ — საქმეებს ვოვას ევროპელი მენეჯერი რიდ სალივანი უძღვება. ის უკვე შეხვდა „მიტელდოიჩერის" მწვრთნელს, დღეს კი პრეზიდენტსაც დაელაპარაკებოდა. თუ ეს საქმე გამოვიდა, მარკოიშვილის გუნდელი გავხდები, თუ არადა, ალბათ ბათუმის „ბასკოში" ვითამაშებ."

**ირაკლი პერტაია**



ზაურ დოლაბერიძე და მისი შეგირდები ალბათ ჩაამთავრებენ ამ ჩემპიონატს

# ეჰ! ქუთაისი წასაგებად დაბრუნდა

## ჩემპიონების გამზრდელ ქალაქში კალათბურთი გერად იქცა

*ამასწინათ, „ქუთაისის" მწვრთნელმა ზაურ დოლაბერიძემ „სარბიელთან" საუბრისას განაცხადა, რომ მისი გუნდი უარს ამბობდა ეროვნულ ჩემპიონატში თამაშზე და დუბლიორთა ტურნირში სასპარეზოდ ემზადებოდა. ფედერაციის უფროსობასთან შეხვედრის შემდეგ კი ქუთათურთა თავკაცმა გადაწყვეტილება შეცვალა – მისი გუნდი, უფრო სწორად ის კალათბურთელები, რომლებიც მის გუნდში დარჩნენ, ისევ ეროვნულ ჩემპიონატში ითამაშებენ*

„ჩემპიონატის მიტოვებისთვის „ქუთაისს" მკაცრი სასჯელი ელოდა — გვითხრა კალათბურთის ფედერაციის გენმდივანმა მერაბ რატიშვილმა — მინიმუმ ერთწლიან დისკვალიფიკაციას მივცემდით და საჯარიმო თანხის გადახდაც მოუხდებოდა. ქუთაისელებს გადასახდელი დარჩათ ჩემპიონატში სამონაწილეო თანხის ნაწილი, რის გამოც გეგმა შევუდგინეთ, რომლის მიხედვითაც ნაწილ-ნაწილ დაფარავენ დავალიანებას."

შეგახსენებთ, რომ ზამთრის არდადეგებზე „ქუთაისი" დატოვა ორმა წამყვანმა კალათბურთელმა — გოდერძი კორძაძემ და ზურაბ ბადრიძემ. იმერლებს ისედაც სუსტი გუნდი ჰყავდათ და ლიდერების დაკარგვის შემდეგ მათი ჩემპიონატში მონაწილეობა წმინდა წყლის ფორმალობა იქნება.

„ფედერაციაში გვითხრეს, რომ ითამაშეთ და შეღავათს გაგიკეთებთ, დავალიანებასაც გეგმაზომიერად გადაგახდევინებთო — ამბობს ქუთათურთა მწვრთნელი ზაურ დოლაბერიძე — რა ვქნა, ძალიან სუსტი გუნდი კი მეყოლება, მაგრამ რამეს მოვახერხებთ, ჩვენი სპორტსკოლის ბავშვებს დავიმატებთ, წლეულს თუ არა, მომავალში მაინც გამოჩნდება რამე."

„ქუთაისის" ხელმძღვანელობას ეიმედება, რომ გუნდს სპონსორი გამოუჩნდება, რომელიც დარბაზის ასაშენებლადაც გაიკრავს ხელს ჯიბეზე. სადღეისოდ გუნდი ქუთაისის მერიის „კმაყოფაზეა" და მისგან მხოლოდ თბილისში თამაშებზე მივლინების თანხას იღებს. ქალაქს, რომელსაც მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონები გამოუზრდია, არ ეკადრება სამადლოდ შესანახი გუნდის ყოლა და ეს რომ იციან, იმიტომაც არ ანებებენ ქუთაისელები კალათბურთის თამაშს თავს, რაშიც ისინი კარგა ხანია, ერთ თეთრსაც აღარ იღებენ.

**ირაკლი პერტაია**

NBA რეგულარული ჩემპიონატი

# სწორება ცენტრზე
## გოლიათები არ გადაშენებულან

— 21 იანვარი —

**მილუოკი 113:102 ორლანდო**
მილუოკი: ფორდი (7), რედი (40), ტომასი (9), სმიტი (12), სკინერი (7); მეისონი (18), კუკოჩი (8), ჯონსი (5), გაძურიჩი (5), სანტიაგო (2)
ორლანდო: სტრიკლენდი (7), ბოგანსი (21), მაკგრეიდი (20), ჰოვარდი (24), დეკლერკი (3); გუდენი (14), უილიამსი (12), ფაჩულია (5 წუთი, 1 ქულა, 1 მოხსნა, 1 პასი, 1 ჩაჭრა), ნეილონი, გირიჩეკი

**დენვერი 97:92 ფინიქსი**
დენვერი: მილერი (22), ლენარდი (3), ენტონი (14), ნენე (4), კემბი (22 ქულა, 18 მოხსნა, 6 დაფარება); რ. ვაიტი (17), ბოიკინსი (13), ცქიტიშვილი (4 წუთი, 2 ქულა, 1 მოხსნა), ანდერსენი, ელსონი
ფინიქსი: ბარბოსა (8), ჯონსონი (28), მერიონი (16 ქულა, 15 მოხსნა), იაკობსენი (9), ვოსკული (10); ეისლი (8), გულიოტა (6), ჩაბარკაპა (4), ჯ. ვაიტი (3)

**სან ანტონი 99:76 ნიუ ჯერსი**
სან ანტონიო: დანკანი (21 ქულა, 17 მოხსნა), თურქოღლუ (18), ნესტეროვიჩი (16)
ნიუ ჯერსი: კიტლზი (30), კიდი (21)

**ჰიუსტონი 86:71 ნიუ იორკი**
ჰიუსტონი: მინგი (29 ქულა, 10 მოხსნა), ტეილორი (21)
ნიუ იორკი: ჰიუსტონი (12), მარბერი (12)

**მემფისი 88:82 ლეიკერსი**
მემფისი: მილერი (18)
ლეიკერსი: პეიტონი (24)

**ტორონტო 97:108 მინესოტა**
ტორონტო: მარშალი (22), პალასიო (18), როუზი (17)
მინესოტა: კასელი (30 ქულა, 13 პასი, 7 მოხსნა), გარნეტი (28 ქულა, 11 მოხსნა), სპრიუელი (24)

**ნიუ ორლეანი 86:92 ფილადელფია**
ნიუ ორლეანი: არმსტრონგი (24), მალუა (17)
ფილადელფია: რობინსონი (23), აივერსონი (22)

**ატლანტა 97:87 ჩიკაგო**
ატლანტა: აბდურ-რაჰიმი (22 ქულა, 11 მოხსნა), ჯეკსონი (22)
ჩიკაგო: რობინსონი (17), გილი (17)

**კლიპერსი 106:102 გოლდენ სტეიტი**
კლიპერსი: კ. რიჩარდსონი (25), მეჯიტი (22), ბრენდი (16 ქულა, 13 მოხსნა, 8 პასი, 4 დაფარება)
გოლდენ სტეიტი: ჯ. რიჩარდსონი (28 ქულა, 10 მოხსნა), დამპიე (17 ქულა, 16 მოხსნა), კლაქსტონი (16), დანლივი (16 ქულა, 10 მოხსნა)

როდესაც მწვრთნელებისგანაც კი ჩამოწერილი მარკუს კემბიც ხელს გამოიღებს, რაღა უნდა გაუჭირდეს წლეულს ისედაც მფრინავ „დენვერ ნაგიტსს“. ნიკა ცქიტიშვილის გუნდმა — რომელმაც მგონი საბოლოოდ ამოშალა თავისი განვითარების გრძელვადიანი გეგმიდან 213-სანტიმეტრიანი ჯეელი ქართველი — მოულოდნელი, თან ბარაქიანი შემწეობა მიიღო მარკუს კემბისგან.

ტრავმების გადამკიდე სუპერვარსკვლავად ეგრეც ვერ ქცეულმა კემბიმ ხალხს ახალგაზრდობა გაახსენა და ბევრ მოხსნასა და დაფარებასთან ერთად სარეკორდოდ ბევრი ქულაც გაიღო.

„დენვერს“ კი მაინც გაუჭირდა დასავლეთის ბოლოადგილოსან, მაგრამ რეალურად ყოჩაღ „ფინიქსთან“ საქმის ბოლომდე მშვიდობიანად მიყვანა. „ფინიქსი“ დროის ამოწურვამდე ნახევარი წუთით ადრე მხოლოდ სამი ქულით აგებდა და, ბუნებრივია, დანებებას არ აპირებდა. სწორედ აქ იმარჯვა კემბიმ. მოწოდებით ფარისკაცმა და ფარზე სანაქებოდ ნამუშევარმა ახლა ექვსიოდ მეტრიდანაც გაისროლა და „დენვერს“ ზედიზედ მესამე გამარჯვება დაუბევა.

ბარემ აღვნიშნოთ, რომ „დენვერმა“ სეზონში უკვე მესამედ მოუგო „ფინიქსს“ და თუ 7 აპრილს ერთხელაც იმარჯვებს ფინიქსში, „სანზს“ თავის არცთუ სახელოვან ყოფიერებაში პირველად დასვამს მშრალზე — „დენვერს“ არასდროს დაუმთავრებია სეზონი „ფინიქსთან“ 4:0 ბალანსით.

საზოგადოდ დიდი ცენტრების ეპოქა ისტორიაში დარჩა, ახლა ნბაში კლიმატს შედარებით პატარა და მოძრავი ბიჭები ქმნიან, თუმცა 21 დეკემბერს შეთანხმებულივით გამოიღეს ხელი დიდებმა და ხალხს თავი შეახსენეს — გოლიათები ჯერ არ გადავშენებულვართო.

კემბისა ხომ ვთქვით...

„ჰიუსტონი“ შინ დაუხვდა „ნიუ იორკს“ და ლენი ვილკენსის ხელში პირველი მარცხი გაასინჯა. „ნიქსს“ 29-ქულიანი ლახვარი ჩასცა ნბა-ს ინჩის და ბინჩის კარგად გამგებმა დიდმა ჩინელმა იაო მინგმა. წლეულს ეს მინგის ყველაზე ქულუხვი მონაგარია.

ხოლო სან ანტონიოში ხელი გამოიღო ევროპელმა, უფრო კონკრეტულად კი სლოვენიელმა ცენტრმა რაშო ნესტეროვიჩმა. „ნიუ ჯერსისთან“ ჯახში პირველ ტაიმში რაშო ორ ქულას დასჯერდა,


REUTERS ჰიუსტონიდან

იაო მინგი თამაშების მომგებ კაცად ყალიბდება

დიდ შესვენებაზე კი გასახდელში მწვრთნელმა გრეგ პოპოვიჩმა გამოაფხიზლა და ამანაც მეორეში 14 ქულა მიაშველა ქულების სანთლით მაძებარ „სან ანტონიოს“.

„ლოს ანჯელეს ლეიკერსს“ სწორედ ცენტრი შაკილ ონილი არ ჰყავდა (კობი ბრაიანტიც და კარლ მელოუნიც) და სწორედ ამიტომ წააგო ბოლოს და ბოლოს წამოჩიტულ „მემფისთან“.

დაბოლოს, კარგი იქნებოდა, ქართველი ცენტრის ზაზა ფაჩულიას ყოჩაღობაზეც დაგვეწერა, მაგრამ ზაზამ „მილუოკისთან“ ოდენ ხუთი წუთი ითამაშა და ვერ მოასწრო ქულების აკრეფა. არადა, ფაჩულიას „მილუოკისთან“ თამაში მშვენივრად გამოუვიდა — ამ რამდენიმე დღის წინ ამ გუნდს 11 ქულა ჩაუგდო.

„მილუოკის“ კი მოაგებინა არა ცენტრმა, არამედ უკანახაზელმა მაიკლ რედმა, რომელმაც ისარგებლა მეურვე ტრეისი მაკგრეიდის მსუბუქი ტრავმით და კარიერაში უბევრესი 40 ქულა მოიხვეჭა.

**კოტე ყორშია**

ძიუდო

# შანსები ჩამორიგებით
## შოთა ხაბარელი წონებს წონის

*ოლიმპიური ლიცენზიებისთვის ბრძოლას ევროპელი ძიუდოისტები წლეულს მოსკოვის საერთაშორისო ტურნირზე დაიწყებენ. ტურნირი ხვალ-ზეგ გაიმართება, საქართველოს ნაკრები კი რუსეთს დღეს დილით გაფრინდა. შოთა ხაბარელის გუნდიდან საბერძნეთის საგზური აქამდე ოდენ ზურაბ ზვიადაურმა (90 კგ) გაინაღდა. სანორმატივო ქულებით თავიანთი წონების ლიდერებში ტრიალებენ ნესტორ ხერგიანი (60 კგ) და დავით მარგოშვილი (66 კგ). მათი ათენში წასვლაც ფაქტობრივად გარანტირებულია. დარჩენილ ოთხ წონაში კი ჯერ ლიცენზიებამდე ბევრია სამუშაო. ამიტომ მწვრთნელმა რუსეთში ორ-ორი კაცი იახლა*



ივერი ჯიქურაული, ზურაბ ზვიადაური, დავით ქევხიშვილი, დავით მარგოშვილი და ნესტორ ხერგიანი მოსკოვში ჭიდაობისგან თავისუფლები არიან

მოსკოვში წამსვლელები ჯერ კიდევ თვის დასაწყისში გაირკვნენ, თუმც რამდენიმე დღის წინ სიაში ცვლილებების შეტანა გარდაუვალი აღმოჩნდა. ავადმყოფობის გამო ნაკრებს მინდია ბოდაველი (90კგ) და ივერი ჯიქურაული (100 კგ) გამოაკლდნენ. პირველს მწვრთნელმა არავინ ანაცვალა და მისი წონა თავისუფალი დატოვა. გასაგებიცაა, 90-ში ხომ უკვე ყველაფერი გარკვეულია. ჯიქურაულის მაგივრად კი გია გუგავას მხარდამხარ ახმეტელი გიორგი ყიზილაშვილი იჭიდავებს.

ქართულ გუნდში ყველაზე დიდი კონკურენცია მძიმე წონაშია. როგორც ზვიად ხანჯალიაშვილს, ისე ალექსი დავითაშვილსაც შესწევთ ძალა, მოსკოვიდან მედლით დაბრუნდნენ, ამასთან ზურგსუკან ახალგაზრდებში ევროპის ჩემპიონ ლაშა გუჯეჯიანის სუნთქვასაც გრძნობენ.

გაურკვეველი სიტუაციაა 73-შიც. დავით ქევხიშვილის ხალიჩაზე დაბრუნებამდე მისი ადგილი გამოცდილმა გიორგი რევაზიშვილმა დაიკავა. ხაბარელმა მას საქართველოს ჩემპიონი დავით ბოდაველი შეუწყვილა, მაგრამ მომდევნო ტურნირზე, 8-9 თებერვალს პარიზში ქევხიშვილთან ერთად რომელიმე მათგანი წავა. ალბათ ის, რომელიც რუსეთში უკეთ იჭიდავებს.

ლიცენზიისგან ყველაზე შორს მყოფ 81 კილოგრამში თითქმის თანაბარი შანსები აქვთ დავით ნადარაიასა და გრიგოლ შინჯიკაშვილს. 66-ში კი ალბათ როგორც რუსულ, ისე მის შემდგომ ფრანგულ და უნგრულ ტურნირებს საქართველოს ჩემპიონატის ფინალისტები — ზაზა კედელაშვილი და მინდია ხომიზური იჭიდავებენ. მანამდე მარგოშვილიც მომჯობინდება და სავარაუდოდ საგზურის მოპოვებას თებერვალში, გერმანიაში ეცდება.

**შოთა ხაბარელი:** „წინ ბევრი ტურნირია და უშანსოდ არც ერთი კანდიდატი არ დარჩება. მოსკოვის მოვლის შემდეგ გუნდში ახალი სახეები აუცილებლად გამოჩნდებიან. ჯერ ყველა კონკრეტული გვარის დასახელება არ შემიძლია, თუმც აქედანვე გადაწყვეტილი მაქვს პარიზში გუჯეჯიანის, ქევხიშვილის, ხერგიანის, ჯიქურაულისა და ზვიადაურის წაყვანა. ალბათ 14-15 თებერვალს უნგრეთში საქართველოს ჩემპიონ დიმიტრი ტურაშვილს (100 კგ) გამოვცდი. რაც შეეხება ყიზილაშვილს, მას საქართველოს პირველობა საერთოდ არ უჭიდავია, მაგრამ საპატიო მიზეზი ჰქონდა.“

ჩვენ კი დავძენთ, რომ ხვალ მოსკოვურ ხალიჩაზე სამი მსუბუქი წონის ძიუდოისტები გავლენ და სალამომდე ჩემპიონებსაც გამოავლენენ. დანარჩენი წონები კი ზეგ იჭიდავებენ.

**ოთარ მაღლაკელიძე**

**საქართველოს სარუსეთო ნაკრები**

| | |
|---|---|
| 60 კგ | ვახტანგ ხოსიტაშვილი |
| 66 კგ | ზაზა კედელაშვილი<br>მინდია ხომიზური |
| 73 კგ | გიორგი რევაზიშვილი<br>დავით ბოდაველი |
| 81 კგ | დავით ნადარაია<br>გრიგოლ შინჯიკაშვილი |
| 100 კგ | გია გუგავა<br>გიორგი ყიზილაშვილი |
| +100 კგ | ზვიად ხანჯალიაშვილი<br>ალექსი დავითაშვილი |

## ავსტრალიის ღია პირველობა 2004

მელბურნი. ჰარდი. საპრიზო 14,6 მილიონი $

# თქვენ ქორწილი გვაჭამეთ!

## კიმი და ლეიტონი ბუქმეიკერებმაც შეაერთეს





REUTERS

### მეორე წრე

#### კაცები

**როჯერ ფედერერი** (2, შვეიცარია) — ჯეფ მორისონი (აშშ) 6:2, 6:3, 6:4; **ხუან კარლოს ფერერო** (3, ესპანეთი) — ფილიპო ვოლანდრი (იტალია) 6:4, 7:6 (7:3), 7:5; **დავიდ ნალბანდიანი** (8, არგენტინა) — ფლორიან მაიერი (გერმანია) 6:1, 6:0, 6:3; **მარკ ფილიპუსისი** (10, ავსტრალია) — ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) 4:6, 6:3, 6:4, 6:2; **ტიმ ჰენმანი** (11, ბრიტანეთი) — რადეკ სტეპანეკი (ჩეხეთი) 6:2, 4:6, 6:3, 6:0; **ირჟი ნოვაკი** (14, ჩეხეთი) — იან ვაცეკი (ჩეხეთი) 6:2, 7:6 (7:3), 6:4; **ლეიტონ ჰიუიტი** (15, ავსტრალია) — კაროლ კუჩერა (სლოვაკეთი) 1:6, 6:1, 6:4, 6:1; **გილერმო კანიასი** (არგენტინა) — აგუსტინ კალიერი (22, არგენტინა) 6:1, 4:6, 2:6, 7:6 (7:2), 6:4; **ალბერტ კოსტა** (26, ესპანეთი) — უეინართურსი (ავსტრალია) 6:7 (5:7), 7:5, 4:6, 6:4, 8:6; **რაფაელ ნადალი** (ესპანეთი) — ტიერი ასიონი (საფრანგეთი) 6:4, 3:6, 7:5, 6:1; **მარიო ანჩიჩი** (ხორვატია) — ალექს კორეჩა (ესპანეთი) 6:4, 1:6, 6:3, 6:7 (4:7), 7:5

#### ქალები

**კიმ კლაისტერსი** (2, ბელგია) — მარია ელენა კამერინი (იტალია) 6:0, 6:0; **ვინუს უილიამსი** (3, აშშ) — ვერა დუჩევინა (რუსეთი) 6:4, 6:2; **ანასტასია მისკინა** (6, რუსეთი) — ემანუელე გალიარდი (იტალია) 6:2, 6:4; **საორი ოზატა** (იაპონია) — აი სუგიამა (8, იაპონია) 6:4, 6:4; **ჩანდა რუბინი** (9, აშშ) — დენიზა ხლადკოვა (ჩეხეთი) 6:2, 6:4; **პაოლა სუარესი** (12, არგენტინა) — იულია ვაკულენკო (უკრაინა) 6:3, 6:4; **ტატიანა გოლოვინი** (საფრანგეთი) — ანა სმაშნოვა-პისტოლეზი (14, ისრაელი) 6:2, 6:3; **ელენა ლიხოვცევა** (რუსეთი) — ფრანჩესკა სკიავონე (18, იტალია) 6:2, 6:2; **სილვია ფარინა ელია** (20, იტალია) — ვირხინია რუანო პასკუალი (ესპანეთი) 5:7, 6:4, 6:4; **პატი შნიდერი** (22, შვეიცარია) — მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი) 6:4, 2:6, 6:3; **ლინა კრასნორუცკაია** (23, რუსეთი) — ბარბარა სტრიჩოვა (ჩეხეთი) 6:3, 4:6, 6:3; **ლიზა რეიმონდი** (25, აშშ) — ანკა ბარნა (გერმანია) 6:3, 6:4; **დინარა საფინა** (რუსეთი) — ამანდა კუტცერი (27, სამხრეთ აფრიკა) 7:5, 6:3; **მარია შარაპოვა** (28, რუსეთი) — ლინდსი ლი-უოტერსი (აშშ) 6:1, 6:3; **ნატალი დეში** (29, საფრანგეთი) — ციფორა ოფცილერი (ისრაელი) 6:3, 6:0; **ემი ფრეზერი** (აშშ) — კრისტინა ბრანდი (პუერტო რიკო) 2:6, 6:0, 7:5

როგორც ანგარიშებიდანვე დაატყობდით, ფავორიტთა სამეორწრეო ბაირამობა გუშინაც გაგრძელდა. ერთადერთი სენსაცია, რამაც მთავარსათაურებამდე აღზევება და რაგინდარა სააგენტოთა მიერ ცალკე ფაილად გამოყოფა დაიმსახურა, მხოლოდ 15 წლის რუსფრანგი გოგუცანას, ტატიანა გოლოვინის მიერ მეთოთხმეტე ნომრად განთესილი სმაშნოვა-პისტოლეზის ძლევა გახლდათ.

რაკილა ასეთ უწლოვან მეჩოგნეთა პირველ სლემნაბიჯებს ჩვენც ნიადაგ გამორჩეულ ყურადღებას ვუთმობთ, გადავწყვიტეთ, დღევანდელი ეს ისე-რა მიმოხილვაც სწორედ ნორჩ ტატიანაზე საუბრით დაგვეწყო.

მოსკოვში დაბადებულსა და ამჟამად საფრანგეთის სახელით მოჩოგნავე ტანიას 16 წელი ამ კვირას შეუსრულდება. გამოცდილი სმაშნოვას დამარცხებით მან — გარდა იმისა, რომ კარიერის პირველი ზორბა სკალპი მიითალა — კაი სადაბადებისდღეო საჩუქარიც გაიკეთა.

ტანია ბოლეტიერის განთქმულ აკადემიაშია დაფრთიანებული — იქ, სადაც მონიკა სელეშისა და ანდრე აგასის დარი სლემჩემპიონობი გამოწრთობილან.

„რვა თვის ვიყავი, როცა მშობლებმა მოსკოვიდან პარიზში გადაბარგება არჩიეს — იგონებს თავად — შვიდი წლიდან კი უკვე ფლორიდაში ვარ, ნიკ ბოლეტიერის აკადემიაში. 2002 წელი ბრედ გილბერტთან ერთად გავატარე, ხოლო გასული სექტემბრის შემდეგ ჩემი მწვრთნელი პიერ შერეა."

სიმრწემის მიუხედავად, ტანია კაი ჭკუადამჯდარი ვინმე ჩანს და გუშინდელი შეხვედრაც ძალზედ ბრძნულად წარმართა. თუმცა ქერონსან-სკვითოსნობის გამო მილეთი მის ჩოგნაობაზე მეტად ანა კურნიკოვასა და მას შორის არსებულ მსგავსებაზე უფრო მეტს საუბრობს.

ეს მსგავსება, სიმართლე გითხრათ და, გრამოფონშია. მით უფრო, რომ თავის ათას კორტზე გადამხტარ ისტორიულ თვისტომთან შედარება მაინცდამაინც არც თავად ტანიას ხიბლავს — აქაოდა, ახლა ყველას მაგას ადარებენო.

თუმცა კურნიკოვას იმას მაინც არ უტრიზავებს, თავის დროზე ზეათეულში რომ იყო და ამბობს, რომ მისი მიზანი კიდევ უფრო მაღლა ასვლაა.

დაველოდოთ — გამრჯე და მუყაითი ხალხის წარმატებაზე არც ჩვენ დავიბოლმებით.

### ვარდბულბულიანი

საჩოგნეთის ტკბილ ჯუფთს, დეკემბერში დანიშნულ ლეიტონ ჰიუიტსა და კიმ კლაისტერსს მელბურნში ჯერჯერობით ერთსა და იმავე დღეს უწევთ თამაში. და მათდა და ოზ ქომაგთა საბედნიეროდ — ჯერჯერობითვე ორივე რიგიანად ჩოგნაობს.

კიმი და თავისი დანარჩენი ფანობაც ლეიტონმა გუშინ მხოლოდ პირველ სეტში ანერვიულა. რაღა დაგიმალოთ და, ჩვენ უფრო მეტსაც მოველოდით, რაკილა ოზბიჭს კუჩერა წლეულს უკვე ორჯერ ჰოპმანის თასზე და სიდნეიშიც დაეჩოქებინა და სავარაუდო იყო, რომ სლოვაკი ახლა მაინც აიმაღლებდა ჩოგანს.

ვერ აიმაღლა. თუმცა თავიდან ჰიუიტმა მდორედ დაიწყო და სეტით დაწინაურების შანსიც მისცა, მაგრამ მერე და მერე მატჩის სადავეები უკუიპყრო და ყველაფერი სასურველ კალაპოტში ჩააბრუნა.

კუჩერა ნამატჩევს კი იძახდა, დღეს მსაჯებიც ეხმარებოდნენო, მაგრამ სულ ბოლოს ჰალალად აღიარა — ისე, მოგების თავი ნაღდად არ მქონდაო.

სხვათა შორის, ეს ლეიტონის უკვე მეათე საამსეზონო გამარჯვებაა და მის ამ წაუგებელ სერიას მომდევნო წრეში 17 წლის რაფაელ ნადალი გამოსცდის.

ცხადია, მშობლიური სლემტიტულის მაძებარ ორგზის სლემტიტულოსან ავსტრალიელს მომავალ მეტოქეზეც დაეკითხნენ. მან ასე უპასუხა — „მის შესახებ ბევრი არაფერი ვიცი, ერთი ეგ მსმენია, რომ ძალიან მალე მისგან რაღაც განსაკუთრებულს უნდა ველოდოთ. ვნახოთ — ალბათ მძიმე მატჩი გვექნება."

ისე კი, პრესკონფერენციაზე ჰიუიტმა ძირითადად მისი და კიმის ურთიერთობებზე ილაპარაკა. თქვა, რომ ისინი ერთმანეთს მაგრად ეხმარებიან, რომ — ელასა, მელასა — მალე ახლობლებს ქორწილსაც აჭმევენ და მისთანანი. მოკლედ — ყველაფერი იმაზე კარგად ყოფილა, ჩვენ რომ გვეგონა.

რაც შეეხება კიმს, მან გუშინ უსახელო იტალიელი მარია ელენა კამერინი გააბითურა. რაც მთავარია, დაშავებულ კოჭს იგი ერთხელაც არ შეუწუხებია და საერთოდაც — ბარაქიანი სანახავი იყო.

ჰო, მართლა — მისი და ლეიტონის წყვილად გამარჯვებაზე ბუკმეიკერები ერთ ლარში 18 ლარს იძლევიან.

### ფავორიტები

გუშინ მოთამაშე მეპირველვიოლინეთაგან ყველაზე დამშეული და უმოწყალო როჯერ ფედერერი ჩანდა. ამერიკელ კვალიფიკანტ ჯეფ მორისონს ის ისე გაეთამაშა, როგორც ხარაბუზა კატა წრუწუნას.

22 წლის შვეიცარიელი მომდევნო მატჩს ადგილობრივთა ჯილათაგანთან ტოლ რიდთან გამართავს, ვინაც თავის მხრივ ხუთსეტიან უდაძაბულეს შეხლაში სძლია სომეხ სარგის სარგსიანს.

ფედერერი ამბობს, რომ რიდს მასთან დაპირისპირებისას გაცილებით ნაკლები გარჯა მოელის. ალბათ, გასაგებია, რატომაც.

მისგან განსხვავებით გუშინ მძიმე დღე ჰქონდა ხუან კარლოს ფერეროს, ვინაც იტალიელ ვოლანდრის [illegible] რეოდა, ჯერ წელი რომ არ ეტკინა, [illegible]

ამ მიკროტრავმების ჩასაცხრობად კოლობიჭს გამაყუჩებლების დალევა და კორტზე მზელავის გამოძახება დასჭირდა. იძულებითმა პაუზებმა მისი სათამაშო რიტმი კი აამღვრია, მაგრამ — რაკილა მელბურნული ხვატისგან არც ვოლანდრის ედგა კარგი დღე — ყველაფერი ისევ ესპანელის სასარგებლოდ მომთავრდა.

ადგილობრივი ქომაგის გასახარად იმარჯვა მარკ ფილიპუსისმაც, რომელსაც მთელი მისი არსენალის ამუშავება მოუხდა ძალზედ ნატიფად, აბლაბუდად მოთამაშე ფაბრის სანტოროს მოსარჯულებლად.

ფრანგს საუცხოო მოჭრილი დარტყმები აქვს, საჭიროებისამებრ ზუსტ შემოვლებულებსა და აბრაგანებსაც გამოდის და ტემპის ცვლილებაც საუცხოოდ ხელეწიფება. ამიტომ იყო, რომ პირველი სეტის მერე ფილიპუსისმა ზარბაზნები უფრო მძლავრი ჭურვებით გატენა და სანტოროს ისეთები დაუშინა, რომ თხზვისა და ბლანდვის ყოველგვარი ხალისი წაუმურდლა.

ქალთა მხარეზე კი კვლავაც რიგიანად იშრომა ვინუს უილიამსმა, ვინაც უსახელო რუს ვერა დუჩევინას 56 წუთი დაახარჯა.

დუჩევინა გუშინ ერთადერთი ძლეული რუსგოგო იყო. გამოცდილი ლიხოვცევას, მისკინასა და კრასნორუცკაიას დარად უკანასკნელ ოცდათორმეტეულში უპრობლემოდ გალაგდნენ ნინველებიც — მარია შარაპოვა და დინარა საფინაც. მარატის უმცროსმა დაიკომ სულაც უგამობრძმედილეს სამხრეთაფრიკელ ამანდა კუცერსაც კი აჯობა.

ჰო, ნინველათა სიჭარბე მელბურნში მართლაც თვალშისაცემია. ოღონდ — რაფაელ ნადალს თუ არ ჩავთვლით, ისინი უკლებლივ რუსგოგონები არიან.

**ლევან ძელაურაძე**



REUTERS

გაიცანით: ფრანგულპასპორტიანი რუსი უანდერგოგონა ტატიანა გოლოვინი



ბიძინა გუჯაბიძე

გურამ დოლეჯაშვილის ფოტოები



*მთამსვლელობა, მოგეხსენებათ, უმაყურებლო სპორტია. არადა, გულშემატკივარი და მისი გამხნევება თუ ვინმეს სჭირდება, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ალპინისტს, რომელსაც სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა სულიერ მეტოქესთან კი არა, სტიქიასთან გაუმართავს*

# თოვლიანი მწვერვალები რუსთაველის პროსპექტზე

ნაშალ ფერდობზე თუ პიტალო კლდეზე დაკიდებული, თოვლსა და ყინულზე მავალი მთამსვლელი ყოველ ნაბიჯზე სიკვდილს უხმობს და რაც უფრო ძნელია ასვლა, მით მეტი სიხარული მოაქვს გამარჯვებას.

და მაშინ უფრო ზღაპრული გეჩვენება მწვერვალიდან დანახული სამყარო, რომელიც ჩვეულებრივი მოკვდავისთვის ესოდენ შორეული და მიუწვდომელია. იმ მშვენიერი ტკბობის თანაზიარნი ზოგჯერ ბარში დარჩენილნიც ხდებიან, როცა მთამსვლელებს მთაში გადაღებული ფილმები თუ ფოტოები ჩამოაქვთ. თუმცა, ალპინისტები გადაღებების სირთულის გამო ამას ყოველთვის როდი ახერხებენ. ამიტომაცაა, რომ მთების ფოტოგრაფობას ბევრი სპორტის დამოუკიდებელ სახეობადაც კი მიიჩნევს.

ამ სახეობის ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელია თბილისელი მთამსვლელი ბიძინა გუჯაბიძე. მას მრავლად დაულაშქრავს მშობლიური კავკასიონისა თუ შორეული მთების მწვერვალები, იქ გადაღებული ვიდეოფილმებისთვის კი არაერთ საერთაშორისო კონკურსზე პრემიებიც დაუმსახურებია. ასეთი პრემიით აღინიშნა, მაგალითად, ტიან-შანზე გადაღებული ფილმი, როცა ბიძინა გუჯაბიძემ „საუკეთესო ოპერატორული ნამუშევრისთვის" მიიღო პრიზი.

სხვადასხვა ნომინაციაში ოთხი პრემია დაიმსახურა 1997 წელს ამერიკაში ელ კაპიტანზე გადაღებულმა ფილმმაც, რომელიც ბიძინა გუჯაბიძემ ბენო ქაშაკაშვილთან ერთად იმ პიტალო მწვერვალიდან ჩამოიტანა.

ბიძინა გუჯაბიძეს მთაში გადაღებული ფილმების ხილვა ახლაც შეიძლება, სამთო ფილმების პირველ ფესტივალზე, რომელიც ახლა თბილისში მიმდინარეობს.

მაგრამ ბიძინა გუჯაბიძეს მწვერვალებიდან მხოლოდ ფილმები კი არა, მშვენიერი ჩანაწერები და ფოტოებიც ჩამოაქვს. ამაში მისი საგაზეთო პუბლიკაციებითაც დავრწმუნებულვართ და დედამიწის უმაღლეს მწვერვალ ევერესტზე მისი პირველი ასვლისადმი მიძღვნილი წიგნითაც, აგრეთვე ფოტოგამოფენებითაც.

ერთი ასეთი მშვენიერი პერსონალური გამოფენა კი გუშინ გაიხსნა რუსთაველზე, TMS-ის გალერეაში, სადაც ერთი კვირის განმავლობაში შეგიძლიათ დატკბეთ მთის ზღაპრული სურათებით.

**ავთანდილ გურასაშვილი**



ბიძინა გუჯაბიძის „მთიელი"



რეგულარული ჩემპიონატი

# ჟამნოვის ჟამიანობა ჩიკაგოს რუსზე რიგი დაუდგა

21 იანვარი

**ფლორიდა 5:6 კოლორადო**

3:0 1:4 1:2

1:0 უაისი (2), 2:0 კოლნიკი (12), 3:0 ტრნკა (19), 3:1 შეიდუკი (26), 3:2 საკიკი (30), 3:3 ტანგეი (30), 4:3 ბურე (33), 4:4 ნიკოლიშინი (35), 4:5 ტანგეი (47), 5:5 ნილსონი (48), 5:6 ტანგეი (55)

„კოლორადოს" ვერც პეტერ ფორსბერგის არყოფნა აბრკოლებს და ვერც მეტოქის განსაკუთრებული მონდომება. მიუხედავად იმისა, რომ პირველ პერიოდში „ფლორიდამ" სამი უპასუხო შაიბა შეაგდო, სტუმრებმა აინუნშიც არ ჩააგდეს სხვისთვის ეს დამთრგუნველი ამბავი და აუღელვებლად გამოასწორეს მდგომარეობა.

საუკეთესო კი კვლავ ტრავმირეუბლი ფორსბერგის მუდმივი პარტნიორი გახლდათ, ოღონდ ამჯერად მეორე ფრთა, ალექს ტანგეი, რომელმაც კარიერაში მეოთხე ჰეთ თრიქი მიითვალა. ბოლო 8 მატჩია, ის უქულოდ არ ტოვებს ყინულს (7 გოლი, 8 პასი) და ამ წარმატების შემდეგ ბომბარდირთა დავაში დაწინაურებულ ვაშინგტონელ რობერტ ლანგსა და ვანკუვერელ მარკუს ნესლუნდისაგან ერთი ქულაღა აშორებს.

**ვაშინგტონი 2:3 ტორონტო**

*0:0 1:1 1:2*

1:0 უიტფილდი (24), 1:1 ჯონსონი (26), 1:2 პონიკაროვსკი (44), 1:3 პონიკაროვსკი (49), 2:3 ბონდირა (55)

თავად რობერტ ლანგს ლიდერობის შესანარჩუნებლად 1 ქულის მოპოვება დასჭირდა, მაგრამ მატჩის მთავარი ფიგურები უკრაინის მიწაზე აღზრდილები აღმოჩნდნენ. მესამე პერიოდში ნამდვილმა უკრაინელმა ალექსეი პონიკაროვსკიმ მისთვის უჩვეულო შედეგიანობა აჩვენა და დუბლი შეასრულა, რასაც მისმა კოლეგამ, გაცილებით ცნობილმა ვაშინგტონელმა პეტერ ბონდრამ მხოლოდ ერთი გოლით უპასუხა. ეროვნებით სლოვაკი ბონდოსა უკრაინულ ლუცკშია დაბადებული.

**ვანკუვერი 5:4 ტამპა**

*1:3 2:0 1:1 1:0*

1:0 ბერტუცი (10), 1:1 მოდინი (10), 3:3 ბოილი (17), 1:3 ფედოტენკო (18), 2:3 ნესლუნდი (30), 3:3 ლინდენი (38), 3:4 ანდრეიჩუკი (51), 4:4 ბერტუცი (54), 5:4 ნესლუნდი (65)

ლანგისგან განსხვავებით „ვანკუვერის" ლიდერ მარკუს ნესლუნდს პირველ ბომბარდირთა სიის თავში დამკვიდრებისთვის გაცილებით მეტი ოფლისღვრა დასჭირდა. კანადურის კლუბის კაპიტანის თავგამოდება ერთობ დროული იყო. მან 2 გოლის (მათ შორის ოვერტაიმში) და 2 პასის წყალობით გუნდს ბოლო 7 საშინაო მატჩში პირველი მოგება მოუტანა. ამჟამად ნესლუნდს და ლანგს აქტივში 57-57 ქულა აქვთ, ხოლო ტანგეის ერთით ნაკლები.

**კოლუმბუსი 3:1 სენტ ლუისი**

*1:0 0:1 2:0*

1:0 მარჩანტი (7), 1:1 პრონგერი (22), 2:1 მალოტრა (46), 3:1 მალოტრა (56)

**ნიუ ჯერსი 1:2 კაროლინა**

*0:0 1:2 0:0*

0:1 ვასიჩეკი (33), 1:2 ფრიზენი (33), 2:2 ონილი (39)

**მინესოტა 4:2 ჩიკაგო**

*0:0 2:1 2:1*

1:0 დიუპუი (26), 2:0 პარკი (36), 2:1 არნასონი (39), 2:2 დემპსი (49), 3:2 დაუდი (60), 4:2 პარკი (60)

„ჩიკაგოს" კაპიტან ალექსეი ჟამნოვზე ნამდვილი ნადირობა გაჩაღდა. ლამის 6-7 გუნდს ამოუჭრა გულში მისი დასაკუთრება მიუხედავად იმისა, რომ წლეულს ნიჭიერი გამთამაშებელი ტრავმებმა შეაწუხა. ამბობენ, „დეტროიტმა" უკვე შესთავაზა „ჩიკაგოს" კონკრეტული წინადადებაო.

**ფინიქსი 2:4 სან ხოსე**

*0:2 0:1 2:1*

0:1 პენანი (3), 0:2 ეკმანი (13), 0:3 ჩიჩუ (26), 1:3 მარა (51), 1:4 კოროლიუკი (5,), 2:4 დოუნი (60)

**ანაჰაიმი 2:2 დეტროიტი**

*0:1 1:1 1:0 0:0*

0:1 დაციუკი (13), 0:2 შნაიდერი (31), 1:2 სიკორა (40), 2:2 პროსპალი (59)

NHL

**აღმოსავლეთი**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ატლანტიკა** | | | | | | | |
| ფილადელფია | 48 | 22 | 10 | 5 | 11 | 129:109 | 59 |
| ნიუ ჯერსი | 46 | 23 | 10 | 1 | 12 | 106:84 | 57 |
| აილენდერსი | 47 | 22 | 4 | 1 | 20 | 134:121 | 49 |
| რეინჯერსი | 47 | 18 | 7 | 4 | 18 | 125:127 | 47 |
| პიტსბურგი | 48 | 11 | 5 | 3 | 29 | 91:172 | 30 |
| **ჩრდილო-აღმოსავლეთი** | | | | | | | |
| ტორონტო | 49 | 26 | 8 | 3 | 12 | 133:118 | 63 |
| ოტავა | 47 | 25 | 7 | 3 | 12 | 152:96 | 60 |
| ბოსტონი | 48 | 22 | 10 | 4 | 12 | 119:113 | 58 |
| მონრეალი | 48 | 24 | 6 | 2 | 16 | 122:102 | 56 |
| ბუფალო | 48 | 18 | 5 | 1 | 24 | 112:126 | 42 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | | | | | |
| ტამპა | 46 | 21 | 6 | 3 | 16 | 114:105 | 51 |
| ატლანტა | 48 | 21 | 4 | 2 | 21 | 138:143 | 48 |
| კაროლინა | 48 | 16 | 9 | 2 | 21 | 89:116 | 43 |
| ფლორიდა | 48 | 15 | 10 | 3 | 20 | 104:129 | 43 |
| ვაშინგტონი | 48 | 14 | 5 | 2 | 27 | 116:149 | 35 |

**დასავლეთი**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ცენტრი** | | | | | | | |
| დეტროიტი | 49 | 27 | 6 | 2 | 14 | 156:111 | 62 |
| სენტ ლუისი | 46 | 25 | 6 | 1 | 14 | 118:110 | 57 |
| ნეშვილი | 47 | 23 | 6 | 2 | 16 | 113:116 | 54 |
| კოლუმბუსი | 47 | 13 | 7 | 3 | 24 | 96:128 | 36 |
| ჩიკაგო | 48 | 11 | 7 | 5 | 25 | 98:141 | 34 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | | | | | |
| კოლორადო | 47 | 27 | 7 | 2 | 11 | 147:107 | 63 |
| ვანკუვერი | 49 | 26 | 7 | 2 | 14 | 140:112 | 61 |
| კალგარი | 46 | 23 | 4 | 3 | 16 | 109:97 | 53 |
| მინესოტა | 49 | 17 | 14 | 0 | 18 | 108:105 | 48 |
| ედმონტონი | 48 | 19 | 8 | 1 | 20 | 120:124 | 47 |
| **წყნარი ოკეანე** | | | | | | | |
| სან ხოსე | 48 | 22 | 11 | 4 | 11 | 118:102 | 58 |
| ლოს ანჯელესი | 47 | 18 | 10 | 5 | 14 | 120:117 | 51 |
| დალასი | 49 | 21 | 8 | 0 | 20 | 97:110 | 50 |
| ფინიქსი | 46 | 16 | 13 | 2 | 15 | 116:121 | 47 |
| ანაჰაიმი | 48 | 14 | 8 | 5 | 21 | 96:125 | 41 |



EURO HANDBALL 2004 SLOVENIA

ევროპის VI ჩემპიონატი. ვაჟები

სლოვენია. 22 იანვარი–1 თებერვალი

# ევროპამ სლოვენიაში დაიწყო

**გუშინ** სლოვენიაში დაიწყო ვაჟ ხელბურთელთა ევროპის ჩემპიონატი. ეს კონტინენტის რიგით მხოლოდ მეექვსე პირველობაა, რასაც სათავე არც ისე დიდი ხნის წინ, 1994 წელს დაედო. 16 ნაკრები ოთხ ჯგუფშია განაწილებული:

**A ჯგუფი** (ველენიე): შვედეთი, რუსეთი, უკრაინა, შვეიცარია

**B ჯგუფი** (ლიუბლიანა): დანია, ესპანეთი, ხორვატია, პორტუგალია

**C ჯგუფი** (ცელიე): ისლანდია, სლოვენია, ჩეხეთი, უნგრეთი

**D ჯგუფი** (კოპერი): გერმანია, საფრანგეთი, სერბეთ-ჩერნოგორია, პოლონეთი

აღსანიშნავია, რომ წინა პირველობის თექვსმეტეულთან შედარებით მხოლოდ ერთი ცვლილებაა — ისრაელის ნაცვლად უნგრეთი იასპარეზებს.

ჯგუფებიდან სამ-სამი საუკეთესო ნაკრები ასევე წრიულად, ორ ექვსგუნდა ეტაპზე გააგრძელებს ბრძოლას, მერე კი ნახევარფინალური და საჩემპიონო მატჩები გაიმართება.

ჩემპიონი ტიტულთან ერთად ათენის ოლიმპიური თამაშების საგზურსაც მიიღებს, ხოლო პირველი ხუთეული — მსოფლიოს საგაისო პირველობაზე გამოსვლის უფლებას.

უმთავრეს ფავორიტად ითვლებიან ოთხგზის ევროჩემპიონი შვედები, რომელთა სადღეისო შემადგენლობაც ამბიციურობის შესატყვისია და ჩინებულ ფორმაში მყოფთ, საერთო აზრით, არ უნდა გაუჭირდეთ ტიტულის დაცვა. ეგაა, მიზნის მისაღწევად სკანდინავიელებს რუს, ხორვატ, დანიელ, ფრანგ და ასე შემდეგ კონკურენტთა წინააღმდეგობის დაძლევა მოუწევთ.

წუხელ პირველი ტურის შეხვედრები ასე დასრულდა:

**რუსეთი 28:20 შვეიცარია**
**ესპანეთი 29:30 ხორვატია**
**ჩეხეთი 25:30 უნგრეთი**
**საფრანგეთი 29:25 პოლონეთი**
**ისლანდია 28:34 სლოვენია**
**გერმანია 26:28 სერბეთი**
**დანია 36:32 პორტუგალია**
**შვედეთი 31:25 უკრაინა**



Euroleague

# ევროლიგა

პირველი ჯგუფური ეტაპი. X ტური. 22 იანვარი

**A ჯგუფი**

**ულქერი 67:63 ოლიმპია**
**პარტიზანი 73:81 რომა**
**აეკი 73:75 ციბონა**

**B ჯგუფი**

**სკიპერი 117:107 ჟალგირისი**
**უნიკახა 75:63 სიენა**

**C ჯგუფი**

**პანათინაიკოსი 84:91 მაკაბი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დამშეულთა ელჩი

კენიელი მსოფლიოს რეკორდსმენი მარათონულ რბენაში პოლ ტერგატი რომის მარმარილოს სტადიონზე ოხუნჯობს. აფრიკელი ახალი დანიშნულია გაეროს „ელჩად შიმშილის წინააღმდეგ“ და უფასო სადილების პროგრამის მთავარ ვარსკვლავად, ტერგატი ამბობს, რომ ამ უფასო სადილების გარეშე რეკორდსმენი ვერ გახდებოდა.



REUTERS



REUTERS

# იდარა

ტიროლის მთებში, კიცბუელის სათხილამურო სოფელში დიდთოვლობის შემდეგ იდარა. ამიტომ, თხილამურობაში ყველაფრის ჩემპიონი ჰერმან მაიერი უკვე მზადაა სავარჯიშოდ.

# კანდიდატი ველოსიპედის შესახებ

ესპანეთის სახალხო პარტიის ლიდერი და პრემიერმინისტრობის კანდიდატი მარიანო რახოი ახალგამოსულ წიგნს უჩვენებს ჟურნალისტებს. წიგნს „ველოსპორტის დღეს“ ჰქვია და მისი წინასიტყვაობა სწორედ რახოიმ დაწერა.




REUTERS მადრიდიდან



REUTERS

# ჩამოჯდომა

ჯორჯ ბუში არიზონაში ჩაფრინდა ეკონომიკაზე სალაპარაკოდ, ხანმოკლე შესვენებისას კი იქაური ნაირგვარი სპორტული კლუბების პატრონებსა და მენეჯერებს ჩამოუჯდა. არტი მორენო (მარცხნივ) „ანაჰაიმ ენჯელზის“ პატრონია, ბობ ბრენლი (მარცხნიდან მეორე) „არიზონა დაიმონდბექზის“ მენეჯერი, ჯერი კოლანჯელო კი იმავ „დაიმონდბექზის“ გენერალური მენეჯერი. ჩამოჯდომა მექსიკურ რესტორანში მოხერხდა.



REUTERS

# ჰამილტონის ყინულზე

ონტარიოში, ჰამილტონის ყინულზე ფიგურული სრიალის ოთხი კონტინენტის ჩემპიონატი მიმდინარეობს. ეს მოხდენილი კანადური წყვილი — მარი-ფრანს დუბრეილი და პატრის ლოზანი ჯერჯერობით პირველ ადგილზე არიან.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge